საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორაც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 28 იანვარი. 2020 წ. №15 (8941) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ლია წერილი ამერიკელ ხალხს და ზოგიერთ კონგრესმენს

მიიღეთ ჩვენი უსტარიც!..

1. დამოუკიდებლობის ოცდაათწლიან პერიოდში საქართველოს პირველად ჰყავს ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება და პირველად ჰყავს ხელისუფლება, რომელსაც ვერავინ დასდებს ბრალს რაიმე სახის სისტემურ დანაშაულში!!!

2. ამერიკის შეერთებულ შტატებს არა ჰყავს საქართველოზე ერთგული მოკავშირე მთელ აღმოსავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში!!!

ამ სავალდებულო და მრავლისმთქმელი შესავლის შემდეგ პირდაპირ საქმეზე გადავალ: **ბატონო ამერიკელო კონგრესმენო პიტ ოლსონ,** ბოღმით და ღვარძლით სავსე თქვენი ე.წ. წერილი ანალიზს არ ექვემდებარება, ამიტომ პირდაპირ შეფასებით დავიწყებ — **შეგიძლიათ, იპოვოთ ათი განსხვავება საქართველოს მიმართ თქვენი და ცნობილი საბჭოთა ლიდერის სუსლოვის დამოკიდებულებებს შორის? ერთსაც ვერ იპოვით, რადგან თქვენც, მასსავით, დაავადებული ხართ „უფროსი ძმის“ მძიმე სენით და ამის საბუთი პოლიტიკისგან შორს მყოფი თქვენი საჯარო განცხადებებია.** თქვენგან განსხვავებით, ქართველები ამერიკელებში ძლიერ მეგობრებს ხედავენ და თქვენისთანების გამო ხანდახან ჩნდება ხოლმე ეჭვები, თავს ხომ არ ვიტყუებთო?.. ღმერთმა დაგვიფაროს.

იხ. 2 გვ.

პოლიტიკოსთა ბერიკაობა კოჰაბიტაციური ჯამბაზობით

დროა, ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი დემოკრატიის ნიღბით ბერიკაობას და კოჰაბიტაციურ როკვა-ჯამბაზობას ხელისუფალთა ზოგიერთ და ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა მონაწილეობით.

იხ. 3 გვ.

ფრანგმა ქართველოლოგმა ბერნარ უტიემ ეროვნულ ბიბლიოთეკას ასობით უნიკალური წიგნი გადასცა

ფრანგმა ქართველოლოგმა ეროვნულ ბიბლიოთეკას ასობით უნიკალური წიგნი გადასცა. ამის შესახებ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე საფრანგეთიდან იუწყება.

„დიდი და მნიშვნელოვანი ამბავი: ეროვნული ბიბლიოთეკის ემიგრაციის მუზეუმისთვის და წიგნის მუზეუმისთვის ბერნარ უტიემ, ცნობილმა ფრანგმა ქართველოლოგმა, ასობით უნიკალური გამოცემა გადმოგვცა. ეს ორი დღე ბურგუნდიაში ძალიან ნაყოფიერი და დიდი თანამშრომლობის დასაწყისი გამოდგა. უღრმესი მადლობა ჩვენს მეგობრებს, ისტორიკოს ლაშა ოთხმეზურს და ყოფილ ელჩს საქართველოში ეკა სირაძე-დელონეს ამ მოლაპარაკებაში ფასდაუდებელი დახმარებისთვის და დიდი მადლობა „თიბისი ბანკს“ ემიგრაციის მუზეუმის მხარდაჭერისათვის“, — წერს გიორგი კეკელიძე.

პატრიარქი: წმინდა ნინო ღმერთსა და ქართველ ხალხს შორის შუამავალია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ წმინდა ნინოს ხსენების დღესთან დაკავშირებით კუკიის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში საზეიმო წირვა აღავლინა.

წირვის დასრულების შემდეგ პატრიარქმა მრევლს ქადაგებით მიმართა.

„ყველას გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს. ეს არის სასწაული. მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის საქართველოს ეკლესია ერთადერთია, რომელიც მოაქცია ქალმა. წმინდა ნინო არის შუამავალი ღმერთსა და ქართველ ხალხს შორის. არის დაწერილი დაუჯდომელი წმინდა ნინოსი, მაგრამ არ იყო დაწერილი საგალობელი დაუჯდომელის. იყო ერთი შემთხვევა, რომ მოვინახულე წმინდა მცხეთის მონასტერი, იქ ბრძანდებოდა დედა, ჩემი ნათლია და ვლაპარაკობდით ჩვენ, რომ არ არის საგალობელი დაუჯდომელისა. წმინდა ნინომ ინება და 5 წუთში დავწერე ეს საგალობელი. სასწაული მოხდა და ეს იქნება მეორედ მოსვლამდე და მეორედ მოსვლის შემდეგაც. ამიტომ მე მინდა, რომ ჩვენ ერთად ვიგალობოთ ეს საგალობელი. კურთხევა გეძლევათ, რომ ყოველდღე იგალობოთ ეს საგალობელი და წმინდა ნინო იქნება თქვენი მფარველი“, — ბრძანა ილია მეორემ.

კონგრესმენების ტონი აბსოლუტურად მიუღებელია!

შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩი დავით ბაქრაძე საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი გამოგზავნილ კონგრესმენთა კრიტიკულ წერილს აფასებს და თვლის, რომ ამ წერილების ტონი აბსოლუტურად მიუღებელია.

აღნიშნულთან დაკავშირებით დავით ბაქრაძე ტელეკომპანია „იმედს“ ესაუბრა. დავით ბაქრაძის განცხადებით, წერილის შინაარსი კომპანია „ფრონტერასა“ და „საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაციას“ შორის არსებული სამართლებრივი დავიდან მომდინარეობს.

„ეს შეეხება კონკრეტულად კომპანია „ფრონტერას“ და იმ სამართლებრივ დავას, რომელიც საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას გააჩნია უკვე წლების განმავლობაში „ფრონტერასთან“. ის ტონი, რომლითაც „ფრონტერას“ მხარდამჭერი კონგრესმენები აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს მიმართავენ, არის აბსოლუტურად მიუღებელი“, — აცხადებს საქართველოს ელჩი.

ბაქრაძის ვარაუდით, კონგრესმენებს საკუთარი ინტერესი აქვთ, მხარი დაუჭირონ ამ კომპანიას აღნიშნულ დავაში.

„ამ კონგრესმენებს აქვთ თავიანთი ინტერესი, რომ მხარი დაუჭირონ კომპანიას, რომელიც არის სამართლებრივ დავაში. ის ხალხი, ვინც ამ ინფორმაციას აწვდის აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წევრებს, ძალიან უხერხულობაში აყენებენ სწორედ მათ, რადგან ისინი არაზუსტ ინფორმაციაზე აწერენ ხელს“.

მიიღეთ ჩვენი უსტარიც!..

ღია წერილი ამერიკელ ხალხს და ზოგიერთ კონგრესმენს

(პირველი გვერდიდან) ახლა მე გეტყვით, რა განსხვავებაა იმ ავადსახსენებელ საბჭოთა დროსა და დღევანდელობას შორის: განსხვავება ისაა, რომ **მე, როგორც საქართველოს მოქალაქემ და ეროვნული ღირსების მქონე ადამიანმა, შემიძლია, მოვითხოვო, რომ უნდა კეთილი ინებოთ და ბოდიში მოიხადოთ ქართველი ხალხის წინაშე,** რადგან თქვენ უაპელაციოდ დაარღვიეთ როგორც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის, ისე მეგობრობის ყველანაირი წესები. **თუ თქვენ არ აღმოგაჩდებათ შეცდომის აღიარების ძალა და უნარი, დავიტოვებ უფლებას, ვთქვა, რომ თქვენ არა ხართ ამერიკა, თქვენ ხართ, უბრალოდ, ისეთივე „დერეიმორდა“ მბრძანებელი, როგორიც ქართველთმოძულე სუსლოვი იყო, რომელიც „უმცროსი ძმისთვის“ თავზე ხელის წამორტყმით იკმაყოფილებდა ავადმყოფურ ვნებებს.**

რაც შეეხება სხვა, ბოლო დროს ეპისტოლური ჟანრით(?) გატაცებულ ზოგიერთ კონგრესმენს... მათ „ნააზრევში“ გამოთქმული შეფასებები შეიცავს უამრავ ფაქტობრივ უზუსტობას ყველა იმ თემასთან დაკავშირებით, რომლებზეც, როგორც პრობლემებზე, ცდილობენ ყურადღების გამახვილებას. ამ შემთხვევაში სამი რამ შეიძლება ვიფიქროთ და ვივარაუდოთ:

1) არ ფლობენ ინფორმაციას, ან ცალმხრივად არიან ინფორმირებული - ორივე შემთხვევაში კომპეტენციის ნაკლებობასთან და უპასუხისმგებლობასთან გვაქვს საქმე;

2) აქვთ რაიმე სახის სხვა მიზანი — ამას პოლიტიკის ენაზე კორუფცია ჰქვია (გავიხსენოთ IRI-ის მაგალითი);

3) არიან რაიმე დიდი გეგმის ნაწილი, ანუ ვიღაც-ვიღაცები „ზევით“ ცდილობენ ახალი ფერადი რევოლუციის მოწყობას და ხელისუფლებაში „თავისი ნაძირალების“ დაბრუნებას... ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი რამის თქმა შეგვეძლება: ის „ვიღაც-ვიღაცები“ არ ყოფილან ჩვენი მეგობრები და საქართველოს ისე უყურებენ, როგორც მარტოდენ სტრატეგიული დანიშნულების წერტს და იმავდროულად, გარკვეული პირადი სარგებლის მიღების საშუალებას (დიდი იმედი მაქვს, არც ქართველი ხალხი და არც ამერიკის ხელისუფლება მოვლენების ამგვარ განვითარებას, არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, მეორედ არ დაუშვებენ).

როგორც თავმოყვარე სახელმწიფოსა და თავმოყვარე ერის ერთმა რიგითმა შვილმა, უნდა მივმართო ბატონ დონალდ ტრამპს, რომელსაც ყველაზე კარგად მოეხსენება, თუ რას ნიშნავს უსამართლო თავდასხმები, მიკერძოებული შეფასებები და ტალახის სროლის საგნად ყოფნა და უნდა მივმართო მთელ ამერიკელ ხალხს:

მეგობრებო, საქართველომ უკვე გააკეთა თავისი პრინციპული და გულწრფელი არჩევანი, რაც დასავლური განვითარებისკენ სწრაფვას გულისხმობს.

ჩემი და ჩემი თანამემამულეთა უდიდესი უმრავლესობის თხოვნაა — თქვენი ხელისუფლების გარკვეულ წარმომადგენლებს ნუ მისცემთ იმის საშუალებას, შეურაცხყონ ჩვენი ღირსება და ამით ჩრდილი მიაყენონ ამერიკულ-ქართულ ურთიერთობებს.

საქართველო ფაქტობრივი ომის მდგომარეობაშია რუსეთთან, რომელსაც ჩვენი მიწა-წყლის ოცი პროცენტი აქვს მიტაცებული. ამ საქმეში თავისი „დიდი დამსახურება“ საქართველოს წინა ხელისუფლებასაც აქვს. უნდა შეგახსენოთ, რომ იმ ხელისუფლების „არჩევაში“ თავისი პასუხისმგებლობა აშშ-ის წინა ხელისუფლებებსაც აკისრიათ. კარგია, რომ ამერიკის ოფიციალურმა პირებმა (კონდოლიზა რაისი, რიჩარდ მაილსი, ჯონ მაკკეინი და სხვ.) აღიარეს შეცდომები და ამით სახელი დაარქვეს ფაქტებსა და მოვლენებს.

დღეს, „ნაციონალურ მოძრაობად“ წოდებული პოლიტიკური ძალა, რომელიც მრავალ სისტემურ დანაშაულშია მხილებული, საქართველოს მოქმედი ხელისუფლების მთავარი ოპოზიციაა. სწორედ ამ დამნაშავეების წისქვილზე უშვებს წყალს ზოგიერთი ამერიკელი კონგრესმენის მიერ ბოლო დროს გაკეთებული ძალზე მიკერძოებული შეფასებები, აგრეთვე, აშშ-ის პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებული ზოგიერთი კერძო თუ ორგანიზაციული „ლობისტის“ საქმიანობა.

ბატონო დონალდ ტრამპ და ამერიკელო მეგობრებო, თქვენი ზნეობრივი პასუხისმგებლობაა, პატივისცემით მოეპყრათ ჩვენს დამოუკიდებლობას და ჩვენს სწრაფვას უკეთესი მომავლისკენ და დააფასოთ ჩვენი ერთგულება საქართველოს უდიდესი მეგობარი სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისადმი.

სულ ეს არის!

ღმერთი ფარავდეს ამერიკას და საქართველოს !

ბიძინა დვალი
25.01.2020

ირაკლი ღარიბაშვილი: კონგრესმენებთან პირისპირ დიალოგს უნდა მივაღწიოთ!

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კონგერსმენების წერილების შესახებ საუბრისას განაცხადა, რომ ნებისმიერი კითხვა და წუხილი დიალოგის რეჟიმში უნდა განიხილებოდეს.

ჩვენ ამას გავაკეთებთ. არავითარი ზედმეტი დრამატიზება ამ საკითხის არ შედის ჩვენს ინტერესებში, ჩვენი სახლემწიფოსა და ჩვენი ხალხის ინტერესებში.

მინდა, ეს ყველამ კარგად იცოდეს. ზოგადად, დამოკიდებულება, რომელსაც ჩვენ ვისმენთ სხვადასხვა პოლიტიკური ოპონენტის მხრიდან, არის ნათელი დასტური იმისა, რომ მათი მთავარი საზრუნავი არ არის ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ინტერესები. ეს არის მათი ვიწროპარტიული ინტერესების გამოხატულება.

პასუხი ამ ყველაფერზე არის დღევანდელი დღე. დღევანდელი დღე არის გამოხატულება ქმედებით, საქმით ამერიკის მთავრობის, ჩვენი მთავრობის, ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის მიმართ. ეს არის მთავარი. დანარჩენი თუ რაიმე კითხვა არსებობს პოლიტიკოსებს შორის, ეს ბუნებრივი პროცესია და ამას მოვაგვარებთ“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

საკუთარ რეიტინგს ზიანს თავად აყენებენ!

„ქართული ოცნების“ დეპუტატი დიმიტრი ხუნდაძე „2020NEWS“-თან „NDI“-სა და „IRI“-ს წარმომადგენლებს მოუწოდებს, საკუთარ თავზე მეტი იმუშაონ, რათა საქართველოში ნაკლები კრიტიკა დაიმსახურონ. როგორც დეპუტატი სააგენტოსთან საუბარში აღნიშნავს, მისთვის ამ ორგანიზაციების მიერ საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგები მიუღებელია.

„ამ ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოში არ უნდა აიკრძალოს, მაგრამ მათი საქმიანობა ობიეტურობასთან ახლოს უნდა იყოს. მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ობიექტურ რეალობას აბსოლუტურად სცდება. საკუთარ რეიტინგს ზიანს თავად აყენებენ. სჯობს, იმუშაონ, რათა მათ მიმართ სანდოობა მაღალი იყოს“, — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.

არჩილ თალაკვაძე: თებერვლიდან ამერიკაში რამდენიმე მაღალი დონის ვიზიტი შედგება!

პარლამენტის თავმჯდომარის არჩილ თალაკვაძის განცხადებით, თებერვლიდან აშშ-ში რამდენიმე მაღალი დონის ვიზიტია დაგეგმილი.

თალაკვაძის თქმით, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ევროკავშირიდან საქართველოს აქვს არაერთი პოზიტიური შეფასება მიღებული, რაც ასახულია ოფიციალური შეფასების ანგარიშებშიც.

„ჩვენ გვაქვს ხელშესახები პროგრესი ამ წლების განმავლობაში — ეს არის უსაფრთხოება, თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება, ადამიანის უფლებები, პენიტენციურ სისტემაში გატარებული რეფორმები, ეს არის კონსტიტუციური ბალანსი, რომელიც საკონსტიტუციო რეფორმით იქნა მიღწეული, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, ჯანდაცვის სექტორი და სხვა მნიშვნელოვანი სექტორი, სადაც ჩვენ ჩავატარეთ რეფორმები. ეს პროგრესი არის აღიარებული როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ასევე ევროკავშირის მხრიდან“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ირაკლი კობახიძე ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აირჩიეს.

მანამდე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარედ ბელგიელი ჰენდრიკ დამსის კანდიდატურას დაუჭირეს მხარი. ამ თანამდებობაზე დამსი ლილიან მორი პასკიეს შეცვლის.

დავით ზალკალიანი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას პირველად მიმართავს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანის განცხადებით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის რანგში საქართველოს საპარლამენტო ასამბლეას საანგარიშო პერიოდში მინისტრთა კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს.

საგარეო უწყების ინფორმაციით, მინისტრი ასევე ისაუბრებს საქართველოს თავმჯდომარეობის პრიორიტეტებზე, შეეხება ევროპის საბჭოში მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებს და საპარლამენტო ასამბლეის წევრების კითხვებს უპასუხებს. მინისტრი სიტყვით გამოსვლისას, როგორც ორგანიზაციის თავმჯდომარე, ისაუბრებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზეც.

პოლიტიკოსთა ბერიკაობა კოჰაბიტაციური ჯამბაზობით



2012 წელს საქართველოში ძალადობრივი მმართველობის შეცვლით, ბიძინა ივანიშვილისთვის მინდობილ საზოგადოებაში გაჩნდა ცხოვრების სასიკეთოდ შეცვლის იმედი და რწმენა, რაც თანდათან განელდა და განულებისკენ წაიყვანა ხელისუფლებაში თუ ცალკეულ უწყებებში მომხვეჭველობის ჟინით მოკალათებულმა როგორც მაღალი რანგის, ისე მათი წამბაძველობით რიგითმა ჩინოვნიკებმა. ხალხის მსახურება მათი მხრიდან შეცვალა საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვამ. ამან თავისთავად დააკნინა ეროვნული ინტერესები, შეაფერხა საშუალო ფენის ჩამოყალიბება, მდიდრები უფრო გამდიდრდნენ, რის ფონზეც გაიზარდა და კრიტიკულ ზღვარს მიაღწია სოციალურად დაუცველთა მასშტაბმა. თბილისში, ქუთაისში, სხვა ქალაქებსა და რაიონებში აშკარაა უკუსვლა, ხოლო ის, რაც კეთდება, ხალხის კეთილდღეობის მოლოდინის ფონზე გამოიყურება ფასადურად, ისევ და ისევ რეალური ყოფისგან თვალის ასარიდებლად. წარმოუდგენლად საგანგაშოა სოციალური ყოფა სოფლად.

აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი „არიერგარდი“, რომელსაც ორგანიზებულად ჩვენ წარმოვადგენთ ახალგაზრდულ ფრთა „ავანგარდთან“ ერთად, რეალობის მტკივნეული განცდითაა მიყურადებული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს. ამიტომაც, გონივრულად გააზრებით და იმის ღრმა რწმენით, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, თანადგომას ვუდასტურებთ ყველას, ვინც უაღრესად კრიტიკული ვითარებიდან ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად გამოთქვამს მზადყოფნას.

„არიერგარდ“ — „ავანგარდი“ მიზნად ისახავს, ეროვნული სულსკვეთების მუხტის გაძლიერებით წინ აღუდგეს გარედან თავსმოხვეულ და ქვეყნის შიგნით რენეგატთა მხარდაჭერით ჩვენი, როგორც უძველესი კულტურისა და ეროვნული ტრადიციების, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ნირის შეცვლის ყოველგვარ ცდას.

ჩვენს ორგანიზაციას კარგად აქვს გააზრებული მოძალადეთა ჩანაფიქრის ვერაგობა და ხმამაღლა ამბობს, რომ: ამიერიდან თავს უკვე ჩვენ ვაცხადებთ „301-ე არაგველად“, თავდადებით ვერთვებით ქვეყნის ეროვნული და მართლმადიდებლური ტრადიციების დაცვისთვის ბრძოლაში იმ იმედით, რომ ათვლა 301-დან უსასრულო იქნება აწ და მარადის!..

დროა, ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი დემოკრატიის ნიღბით ბერიკაობას და კოჰაბიტაციურ როკვა-ჯამბაზობას ხელისუფალთა ზოგიერთ და ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა მონაწილეობით.

საქართველოში აშშ-ის ახალი ელჩის დანიშვნისთანავე მის მიერ გაჟღერებული წინმსწრები გზავნილები გვაიმედებს, რომ ჩვენს ქვეყანაში შეუვალად იქნება დაცული დემოკრატიული პროგრესი. ბოლოს და ბოლოს, სინამდვილედ იქცევა დიდი ილიას სიტყვები: **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“**. პოზიცია-ოპოზიციის მოჩვენებით თუ რეალური ომის საპირისპიროდ, განვითარდება და დაცული იქნება ჭეშმარიტი დემოკრატია, რაც უპირველესად, ნიშნავს ხალხის მმართველობას. საზოგადოების სურვილია, თავიანთ უნარ-შესაძლებლობებს პოზიცია-ოპოზიცია ავლენდეს ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობისთვის, უკეთესი მომავლისთვის ურთიერთშეჯიბრებაში.

ჩვენ ვიწყებთ. ვიწყებთ „იდეების საფიხვნოს“ ტრიბუნის წარდგენით და ვთხოვთ ყველას, განურჩევლად ასაკისა, მობრძანდით და აქტიურად ჩაერთეთ საყოველთაო ფიქრსა და განსჯაში ჩვენი სამშობლოს უკეთესი ხვალინდელი დღის მოსაახლოებლად.

დიდი წინაპრებისგან დღემდე მოტანილი ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ჩვენგან მოელის ხსნას. სამწუხაროდ, დღესაც კვლავ გვიწევს ილიას დარად მის მიერ სინანულით ნათქვამის განმეორება — **„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..“** დიახ, მოწყენილია დღესაც ჩვენი სამშობლო!

ამასთან, უნდა დასრულეს საუკუნიდან საუკუნეში გარდამავალი თავდამშვიდება — **„აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“**. ღირსეული მომავალი, ჩვენვე უნდა შევქმნათ. ვიმეორებთ, უპირველესად, ეს უნდა შეიგნონ ქვეყნისა და ხალხის მსახურმა პოლიტიკოსებმა და აღიარონ, რომ მათი უმთავრესი ვალდებულება ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვაა.

„არიერგარდ“-„ავანგარდის“ გამგეობის სახელით
გურამ სალარაძე

P. S. მეტი სიცხადისთვის აქვე გთავაზობთ ჩვენი ორგანიზაციის სამოქმედო პროგრამას.

„აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი“ - „არიერგარდი“

სამოქმედო პროგრამა

„აქტიურ პენსიონერთა საერთაშორისო ალიანსი“ — „არიერგარდი“, როგორც იურიდიული პირი, დარეგისტრირდა 2019 წლის 14 იანვარს. საქმიანობის მიზნები და ამოცანები სრულად შეესაბამება, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო ფუძემდებლურ ნორმებს და მოთხოვნებს. მიგვაჩნია, რომ ცხოვრებისეული და მდიდარი პროფესიული ცოდნა-გამოცდილებით, აქტიურ პენსიონერთა და მისი ახალგაზრდული ფრთის — „ავანგარდის“ ჩართვა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ და სხვა პროცესებში უთუოდ შეიტანს სასარგებლო წვლილს საზოგადოების დემოკრატიული განვითარება — წინსვლის საქმეში. ვიმოქმედებთ სიბრძნით, გონებით, სიტყვით, საქმით, გრძნობით, გამოცდილებით და, რაც მთავარია, პასუხისმგებლობით. საზოგადოების გულსა და გრძნობებამდე მისატანი საერთო მიზნად ქცეული სამოქმედო პროგრამის არსი და დედააზრია სლოგანი: „სიმართლე გზად და ხიდად“..

პრიორიტეტია: ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; ევრო და ნატო ინტეგრაცია; დასაქმება; ხალხის კეთილდღეობის ამაღლება; მოქალაქეთა კონსტიტუციური, დემოგრაფიული კატასტროფის თავიდან აცილება; სნეულთა, უმწეოთა, შშმ პირთა; პატიმართა უფლებების დაცვა და სხვა საკითხები. ამასთან, წინ წამოიწევა ზრუნვა ეროვნული ღირებულებებისადმი; სხვა ქვეყნებისა და მათი ფასეულობების პატივისცემა; კულტურათა, ცივილიზაციათა დიალოგის ხელშეწყობა; ქვეყნებთან და ერებთან დაახლოება და შემოქმედებითად ურთიერთთანამშრომლობა. ახალ სიმაღლეზე ავიყვანთ კონფლიქტების დარეგულირების პროცესში სახალხო დიპლომატიას, რომლის უპირველესი ამოცანა იქნება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოს საზღვრებში დაბრუნებით ისტორიული სამართლიანობის აღდგენა.

ძალისხმევას არ დავიშურებთ სიტყვის თავისუფლების არამართებული აღქმისა და ამ სიკეთის ბოროტად გამოყენების საზოგადოების ცნობიერებიდან აღმოსაფხვრელად. მიზნად დავისახავთ, საზოგადოება სრულად გაემიჯნოს ჩვენს ყოფაში მოძალებულ ისეთ მანკიერებას და ბოროტებას, როგორიცაა: ამპარტავნება, ბილწსიტყვაობა, გაუტანლობა, ეგოიზმი, სიცრუე, სიძულვილი, ცილისწამება, ძალადობა, შურისძიება, შუღლი, შური და ღვარძლი, ზნეობასთან შეუთავსებელი სხვა გამოვლინებები. ამის საპირისპიროდ საზოგადოებაში ყოველმხრივ წახალისდება: ურთიერთსიყვარული და ურთიერთთანადგომა, სათნოება, შენდობა-პატიება, საერთოდ, უბოროტობა. ამ მიმართულებით ალიანსის საქმიანობა გახდება სისტემური, საგანგებოდ შემუშავებული კონკრეტული პროგრამებით, რომლის რეალიზებას „არიერგარდ“-„ავანგარდის“ გაერთიანებული ინტელექტუალური შესაძლებლობები დაედება საფუძვლად სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების თანადგომით.

წესდებიდან გამოდინარე, საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობით, ალიანსის საქმიანობაში ბიზნესი გახდება, როგორც შიდა უწყებრივი, ისე საერთო საქვეყნო ეკონომიკური სიძლიერის განმტკიცების ზრუნვის საგანი. ნოვაციების დანერგვით დამკვიდრდება ბიზნესთან ორმხრივი სასარგებლო შემოქმედებითი ურთიერთობა. შეიქმნება „რეპუტაციის ფონდი“, რომლის სახსრები შეწონასწორებული პრინციპით გადანაწილდება წარმოდგენილი პროგრამის ცალკეული მიმართულებების რეალიზებაზე, უპირასტესად ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების გათვალისწინებით.

ყველა რესურსს გავაერთიანებთ, რომ ნარკომანია არ იქცეს პრობლემებისგან განრიდებული ახალგაზრდობის თავშესაფრად. რომ თაობები აღიზარდონ საკუთარი თავის, ოჯახისა და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებელობის გრძნობით. აქედან გამომდინარე: ოჯახების სიმტკიცე და სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა გახდება სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობის ჰარმონიულად სრულყოფის გარანტი. ამ მიმართულებით, საქმიანობის გააქტიურებით ამაღლდება ეროვნული და პატრიოტული სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდის, სასკოლო და სკოლისგარეშე პროცესების ხარისხი.

„არიერგარდ“-„ავანგარდის“ თაოსნობით საფუძველი ჩაეყრება საქართველოში პირველი „ნეტარების სახლის“ არსებობას, რომლის ბინადარნი ერთდროულად იქნებიან მარტოხელა პენსიონერიები და მიუსაფარი ბავშვები. ბებია-ბაბუების, შვილიშვილთა და შვილიშვილთა შვილების სიმბოლური ერთიანობით თანაცხოვრება, გაალამაზებს და ოპტიმიზმს შესძენს ასაკოვანთა ყოფას, ხოლო მოზარდებისთვის შექცევადი ორმხრივი გულის სითბოთი გარანტირებული იქნება უკეთესი დღევანდელი დღე და მომავალი.

ალიანსი იზრუნებს თავის წევრთა, როგორც ინტელექტუალური, ისე ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზების გახანგრძლივებაზე შესაბამისად ხელმისაწვდომ კულტურულ, სამეცნიერო, სპორტულ აქტივობებში ჩართვით, აგრეთვე მათი ჯანმრთელობის განმტკიცებასა და შენარჩუნებაზე.

პროგრამების განსახორციელებლად ალიანსი აქტიურად ითანამშრომლებს იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან საქართველოს კანონმდებლობით ყველა ლეგიტიმირებული მიმართულებით. გამგეობა, თავის სხდომებზე განხილვის შემდეგ, სისტემატურად გაასაჯაროებს გაწეული მუშაობის შედეგებს, საჭიროების შემთხვევაში კი, კანონიერ საქმიანობაში შემაფერხებელ, როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ მიზეზებს ხელმისაწვდომს გახდის საზოგადოებისთვის.

ალიანს „არიერგარდ“-„ავანგარდის“ გაერთიანებული გამგეობა

ნებისმიერი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 599 554 897.

ᲠᲐᲨᲘ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ?

ᲡᲐ�პᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ წინ „ქართული ოცნების“ საკადრო კარუსელი დატრიალდება. არაოფიციალური განცხადებით, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ბრუნდება. მინისტრთა კაბინეტს ტოვებს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, რომელსაც, სავარაუდოდ, სასჯელაღსრულების მინისტრი კახი კახიშვილი შეცვლის. რაც შეეხება წულუკიანს, ის „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის ათეულში იქნება და პოლიტიკურ მოღვაწეობას უკვე პარლამენტში გააგრძელებს.

იუსტიციის მოქმედი მინისტრი **თეა წულუკიანი** ადასტურებს, რომ რამდენიმე თვე დარჩა იუსტიციის სამინისტროში ყოფნის.

„ჩემი მთავარი მიზანია, რომ მან, ვინც იქნება მინისტრი, და ის იქნება „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, შეძლოს, ამას დააშენოს უკეთესი რამ. სულ რამდენიმე თვე დარჩა ჩემი და ჩემი გუნდის იუსტიციის სამინისტროში ყოფნისა. რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება“, მე ასე მჯერა, გაიმარჯვებს ამ არჩევნებში და ის ჰუმანური პოლიტიკა, რაც ჩვენ შევძელით მოგვეტანა პენიტენციურ სისტემაში, გაგრძელდება“, — განაცხადა **თეა წულუკიანმა.**

საკადრო ცვლილებაზე კომენტარს არ აკეთებს მმართველი გუნდი.

განსხვავებულია ანალიტიკოსების შეფასებები. ფილოსოფოსი **ზაზა ფირალიშვილი** საეჭვოდ მიიჩნევს, რომ ბიძინა ივანიშვილი დაბრუნებაზე დათანხმდეს. რადგან მისი თქმით, კულტურული მართვის მოდელი იმდენად კომფორტულია, რომ, როგორც ამბობენ, პუტინიც ფიქრობს ამ მოდელის გადაღებას.

„თუ ასეა, რუსები ჩამორჩენილან პროცესებს და ვერ ხედავენ, თუ როგორი დამოკიდებულებაა ჩვენში მართვის ამგვარი მოდელის მიმართ. თუმცა რა?! რუსეთში მკვეთრად განსხვავებული საზოგადოებრივი განწყობებია. ამ ქვეყანაში ტრადიციულად, მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ ხელისუფლებისადმი ლოიალობა ერთგვარ სიქველედ, უფრო მეტიც, რელიგიურ მოვალეობად აღიქმება. არსებულ სიტუაციაში არავის ვუსურვებდი ფასადზე გამოჩენას“, — აცხადებს **ზაზა ფირალიშვილი.**

მისი თქმით, როდესაც მმართველი ძალა ასეთი სისწრაფით კარგავს საშინაო და საგარეო საყრდენებს, ბევრი ადამიანი შეიძლება თან წაიყოლოს, რისი გამოცდილებაც უკვე საკმაოდ დიდი გვაქვს.

„იკვეთება ადამიანთა წრე, რომელთაც ბრალი ედებათ. რაღა შორს წავიდეთ და დღესაც ვხედავთ, თუ როგორ გადაუჭრელ ამოცანად იქცა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებისათვის ხელისუფლებაში დაბრუნება. მათ მიერ დატოვებული კვალი იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ დაიფარა ის, რაც მათ ხელისუფლებაში ყოფნისას გააკეთეს.

„ქართულ ოცნებაში“ რამდენიმე ადამიანმა შეძლო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის პატივისცემის შენარჩუნება, მაგრამ მოცემულ სიტუაციაში ეს პატივისცემა შეიძლება საპნის ბუშტად იქცეს, როგორც კი მის კონვერტაციას შეეცდებიან“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **ზაზა ფირალიშვილმა.**

* * *

ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝᲒᲘ **რამაზ საყვარელიძე** მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ამდაგვარი კარუსელი მომგებიანი არ უნდა იყოს მმართველი გუნდისთვის. მისი თქმით, რადგან პრემიერის შეცვლა იქნება არსებითი ცვლილება, ადამიანებს გაუჩნდებათ იმის განცდა, რომ ხელისუფლება რაღაცას ვერ აკეთებს.

„ანუ საკადრო პოლიტიკა არ უვარგოდა „ქართულ ოცნებას“. სავარაუდოა, რომ ამის შესახებ ხმამაღლა ისაუბრებს ოპოზიცია. არ მესმის, რაში შეიძლება სჭირდებოდეს მმართველ გუნდს საარჩევნოდ ასეთი ცვლილება. თუ ლაპარაკია იმაზე, რომ არაფორმალური მმართველობა უნდა დასრულდეს, კი ბატონო, ჩაატარონ არჩევნები და მერე რაც უნდათ, ის ქნან.

ახლა, ამ ეტაპზე საკადრო ცვლილება არ იქნება სწორი. ერთი შოთაძის დაბრუნებაზე ვხედავთ, რას იძახის ოპოზიცია — კადრები არ ჰყავთ და ამიტომ დააბრუნესო. ანუ პოლიტიკური ოპონენტი ამით სარგებლობს. მით უფრო, თუ პრემიერ-მინისტრად ივანიშვილი დაბრუნდა, იქნება სულ მაგის აფიშირება, რომ კადრები არ ჰყავთ და ამიტომ დააბრუნეს ივანიშვილი. რაში სჭირდებათ ეს, მე მგონია, რომ ეს მათთვის აუცილებელი და სასურველი ვარიანტი არ უნდა იყოს“, — აცხადებს **რამაზ საყვარელიძე.**

* * *

ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡ **ამირან სალუქვაძის** განცხადებით, საარჩევნო წელი დაიწყო. მმართველმა პარტიამ და სხვა პოლიტიკურმა ძალებმა უნდა გაიაზრონ, რა მოლოდინები აქვს ამომრჩეველს და აქედან გამომდინარე, იფიქრონ ცვლილებებზეც და საარჩევნო პროგრამებზეც.

„არ მიყვარს ასეთ საკითხებზე მკითხაობა. ზოგიერთი აკეთებს ასეთ პროგნოზებს, რაღაც წყაროებზე, პირად კონტაქტებზე დაყრდნობით. მე „ქართულ ოცნებასთან“ ასეთ საკითხებზე კონსულტაციები არ მაქვს. შესაბამისად, არც პროგნოზს გავაკეთებ. შემიძლია, შეფასებები გავაკეთო. ამ შეფასებების თანახმად, მოსახლეობაშია ცვლილებების მოლოდინები.

საარჩევნო წელი დაიწყო. მმართველმა პარტიამ და სხვა პოლიტიკურმა ძალებმა უნდა გაიაზრონ, რა მოლოდინები აქვს ამომრჩეველს და აქედან გამომდინარე იფიქრონ ცვლილებებზეც, საარჩევნო პროგრამებზეც. ჯერჯერობით პოლიტიკური პარტიები პატივს არ გვცემენ და ჯანსაღი პოლიტიკური დებატების, სამოქმედო პროგრამების განხილვების ნაცვლად, პოლიტიკური სანახაობებით გვართობენ და ნეგატიური დღის წესრიგით გვაცხოვრებენ, რაც საზოგადოებისთვისაა წამგებიანი“, — ამბობს **ამირან სალუქვაძე.**

ექსპერტი **გია ხუხაშვილი,** რომელიც წლებია, ბიძინა ივანიშვილს პრემიერის თანამდებობაზე დაბრუნებას სთავაზობს, აცხადებს, რომ ივანიშვილის დაბრუნება და პასუხისმგებლობის აღება, ეს არის ის უნიკალური გზა, რომელიც როგორც სახელმწიფოს, ასევე პირადად ბიძინა ივანიშვილის ინტერესებშია, რადგან ხუხაშვილის განცხადებით, ივანიშვილს გრძელვადიანი სერიოზული პრობლემა აქვს.

„გადაწყვეტილების მიღების და ინსტიტუციური ცენტრი უნდა მოვიდეს თანხვედრაში. ამის ერთადერთი ფორმულა არის ივანიშვილის გაპრემიერება. ამით პირად იმუნიტეტსაც შეიძენს და ხელისუფლებაც უფრო ეფექტური გახდება. გაუგებარია, დღეს როგორია მმართველობითი ალგორითმი. იმიტომ, რომ არის პრემიერი, რომელიც გადაწყვეტილებას ვერ იღებს და, შესაბამისად, ქვეყანა ვერ ვითარდება.

ივანიშვილს თუ უნდა, რომ პრემიერის სტატუსით მოიგოს შემდეგი არჩევნები, შეუძლია, სწრაფი და ეფექტური ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარება, რაც მოსწრებადია არჩევნებამდე. ერთიორი ბობოლას დაჭერა, რომელიც მოიაზრება მთავარ კორუმპირებულად დღევანდელ კორუმპირებულ ელიტაში. ასევე, მნიშვნელოვანია, გახდეს დემოკრატიული არჩევნების ჩატარების გარანტი, უკვე პრემიერის სტატუსით და ჩაატაროს კონკურენტული და ღირსეული არჩევნები ისე, რომ კითხვის ნიშნები იყოს ცოტა. თუ ამ ნაბიჯებს არ გადადგამს, რჩება მაღალი რისკის ზონაში, ძალიან ბუნდოვანი პერსპექტივით, რასაც ნამდვილად არ ვუსურვებ“, — აცხადებს **გია ხუხაშვილი.**

* * *

ᲠᲐᲪ შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებაში კახი კახიშვილის დაბრუნებას, ანალიტიკოს **ვახტანგ ძაბირაძის** განცხადებით, პენიტენციურ სისტემაში კახიშვილის საქმიანობა ნამდვილად დადებითად შეიძლება შეფასდეს. მისი თქმით, სანამ კახიშვილი იყო პენიტენციურ სისტემაში, მედიას და არასამთავრობო სივრციდან არ ისმოდა და მოიხსნა პრეტენზია ისეთ თემაზე, რასაც ჰქვია პატიმართა უფლებები.

„მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო უწყება, რომელიც მუდმივად იყო განხილვის და კონტროლის ქვეშ, არა მარტო ამ ხელისუფლების, არამედ ყველა ხელისუფლების დროს, კახიშვილის მინისტრობის პერიოდში პატიმართა მდგომარეობაზე ფაქტიურად მოიხსნა კითხვები. ამიტომ, თუ კახიშვილს დააბრუნებენ, ეს იქნება სწორი გადაწყვეტილება.

რაც შეეხება წულუკიანს, მარტივია, ის აღმოჩნდა ერთადერთი მინისტრი, რომელიც 2012 წლიდან დღემდე ინარჩუნებს პოსტს. შესაბამისად, მას „ქართულ ოცნებაში“ აქვს ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი გავლენა. ამიტომ, გასაკვირი არ იქნება, თუ მოხვდება „ქართული ოცნების“ ათეულის სიაში. მით უმეტეს მან დაადასტურა, რომ მიდის უწყებიდან და ინაცვლებს პოლიტიკაში“, — აღნიშნა **ვახტანგ ძაბირაძემ.**

ᲗᲐᲛᲗᲐ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ �პᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ

ᲐᲨᲨ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში, ვაშინგტონში მორიგი შეხვედრა გაიმართა. კულტურული გაცვლებისა და ხალხთაშორისი ურთიერთობების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე, საქართველოს საგარეო საქმეთა და განათლების მინისტრების მოადგილეები წარდგნენ. სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ შეხვედრაზე განათლების, კულტურისა და სტრატეგიული კომუნიკაციების შესახებ იმსჯელეს.

განათლების მინისტრის მოადგილის ირინე აბულაძის განცხადებით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო ოკუპირებულ ტერიტორიებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებულ ვითარებას. ირინე აბულაძის თქმით, ქართულმა მხარემ, ამერიკელ პარტნიორებს სრული ინფორმაცია მიაწოდა გამოწვევების შესახებ, რაც ოკუპირებულ რეგიონებში, განათლების უფლების მხრივ დგას. მისი თქმით, შეხვედრაზე ასევე საუბარი შეეხო საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივებს განათლების ხელმისაწვდომობის კონტექსტში.

აბულაძის თქმით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით, გაცვლითი პროგრამების წამოწყების იდეას.

ᲓᲦᲔᲡᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, 7 000 000 ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ �პᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ. „USAID“-ᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ.

ამასთან, ამერიკული მხარის ინიციატივით, საქართველოში, „Fulbright“-ის პროგრამის გაფართოვება იგეგმება. „ფულბრაითის“ პროგრამის ფარგლებში, წელს უკვე 11 ქართველი სტუდენტი მიიღებს ამერიკაში განათლებას. 2020 წლის გაზაფხულიდან კი, როცა შეთანხმებას მოეწერება ხელი, საქართველოს, ამერიკიდან „ფულბრაითის“ 10-მდე სტიპენდიატი ეწვევა, რომლებიც საქართველოს უნივერსიტეტში ინგლისურ ენას ასწავლიან. შეხვედრის შემდეგ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვახტანგ მახარობლიშვილს მედიასთან კომენტარი არ გაუკეთებია.

მან ღირსეულად იცხოვრა...

აკადემიკოსი თენგიზ სანაძე – 90

2020 წლის 30 იანვარს გამოჩენილ ქართველ ფიზიკოსს, აკადემიკოს თენგიზ სანაძეს 90 წელი შეუსრულდებოდა. იგი სამართლიანად ითვლება მსოფლიოში ცნობილი მაგნიტური რეზონანსის ქართული სკოლის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

თენგიზ სანაძემ 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტი და მივლინებულ იქნა მოსკოვში, ლებედევის ინსტიტუტში, აკადემიკოს ალექსანდრე პროხოროვის (შემდგომში ნობელის პრემიის ლაურეატი) ლაბორატორიაში, სადაც ჩამოყალიბდა ბრწყინვალე ექსპერიმენტატორად. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მეოცე საუკუნის 50-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თენგიზ სანაძემ განავითარა იმპულსური (ბიძგური) ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის (ეპრ) ახალი მიმართულება. ამისათვის მას მოუწია თავისი ხელით, დამოუკიდებლად ეპრ სპექტრომეტრის შექმნა და ასევე საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი დაბალტემპერატურული რეზონატორის კონსტრუირება და აწყობა. მაშინ ექსპერიმენტატორების საქმიანობა რთული და მეტად შრომატევადი იყო, ვინაიდან არ არსებობდა ქარხნული წარმოების სპექტრომეტრები. თავისივე შექმნილი ექსპერიმენტული დანადგარების გამოყენებით თენგიზ სანაძემ აღმოაჩინა ახალი მოვლენები იმპულსურ ეპრ სპექტროსკოპიაში. ეს შედეგები ამჟამად საქვეყნოდ ცნობილი და აღიარებულია, ხოლო მაგნიტური რეზონანსის ქართულმა სკოლამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოში.

1968 წელს თენგიზ სანაძეს ბორის ბერულავასთან ერთად მიენიჭა უნივერსიტეტის პირველი პრემია, ხოლო 1970 წელს გივი ხუციშვილთან ერთად — მელიქიშვილის სახელობის პრემია. 2000 წელს ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის საერთაშორისო საზოგადოებამ თენგიზ სანაძეს მიანიჭა FELLOW-ს ტიტული, რაც ეპრ სპექტროსკოპიის დარგში უმაღლესი შეფასებაა.

თენგის სანაძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფიზიკოსთა მრავალი თაობის წინაშე. განუზომელია მისი დამსახურება ახალგაზრდა მეცნიერებისა და სპეციალისტების აღზრდის საქმეში. 1961 წელს მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა რადიოფიზიკის კათედრა. ამ კათედრაზე თითქმის 45 წლის განმავლობაში თენგიზ სანაძე კითხულობდა კვანტური რადიოფიზიკის კურსს რადიოფიზიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის. რადიოფიზიკის კათედრაზე მისივე ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ზემაღალი სიხშირეებისა და კვანტური რადიოფიზიკის სასწავლო ლაბორატორიები, სადაც მრავალი თაობის სტუდენტები ეუფლებოდნენ ამ დარგების ექსპერიმენტულ მეთოდებს. თენგიზ სანაძე ბოლო წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ზოგად ფიზიკაშიც პირველკურსელებისთვის. ცნობილი ექსპერიმენტატორის დიდი პედაგოგიური გამოცდილებით, თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გამოყენებით წარმოდგენილი სამყაროს აგებულების ამსახველი ლექციები დიდ ინტერესს იწვევდა სტუდენტებში.

აღსანიშნავია, რომ თენგიზ სანაძის მიერ დაწყებული კვლევები ეპრ სპექტროსკოპიაში გრძელდება უნივერსიტეტში და მიმართულია დღეისათვის მეტად აქტუალური ნივთიერებების: მაღალტემპერატურული ზეგამტარების, მულტიფეროიკების, დაბალგანზომილებიანი მასალების შესასწავლად. ამჟამად კონდენსირებული გარემოს ფიზიკის ლაბორატორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ატარებს აკადემიკოს თენგიზ სანაძის სახელს. ბატონი თენგიზი ყოველთვის დიდი სიხარულით აღნიშნავდა, რომ მან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გააგზავნა თავისი მასწავლებლის, ნობელის პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ალექსანდრე პროხოროვის ლაბორატორიაში შემდგომი სამეცნიერო საქმიანობისთვის. ამ მიმართულებითაც გრძელდება ტრადიცია და ლაბორატორიაში აღზრდილი ნიჭიერი მაგისტრანტები და დოქტორანტები წარმატებით აგრძელებენ მუშაობას ევროპისა და ამერიკის წამყვან ცენტრებში.

დიდად დასაფასებელია აკადემიკოს თენგიზ სანაძის მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. მრავალი წლის მანძილზე იგი იყო აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების ბიუროს წევრი, აქტიურად მონაწილეობდა მთელი აკადემიის საქმიანობაში, ხელმძღვანელობდა მეცნიერებათა აკადემიის „ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებისთვის გამოყენების კომისიას“. მაღალი ინტელექტის, დახვეწილი ინტელიგენტურობის, გამორჩეული პიროვნული თვისებების წყალობით იგი დიდი ავტორიტეტით, პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა კოლეგებს შორის.

თენგიზ სანაძის ცხოვრებისეული კრედო იყო: გაუკეთე ადამიანებს სიკეთე და მათ, ვინც გაწყენინა, აპატიე. ამავე დროს მას ჰქონდა ძალიან პრინციპული პოზიცია, როდესაც საქმე ეხებოდა საქართველოში განათლებისა და მეცნიერების მომავალს. უაღრესად კეთილშობილი, ქვეყნის დიდი პატრიოტი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, საქართველოში განათლებისა და მეცნიერების განვითარებისთვის დაუღალავი მებრძოლი, ბატონი თენგიზი იყო ვაჟკაცური ბუნების ადამიანი. მან ღირსეულად იცხოვრა და დაუვიწყარი სახელი დატოვა კოლეგებისა და მოწაფეების მეხსიერებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები გუდიაშვილის მოედანზე

დედაქალაქის მერი კახა კალაძე თბილისის განვითარების ფონდის დირექტორთან ალექსანდრე ტოგონიძესთან ერთად გუდიაშვილის მოედანზე იმყოფებოდა, სადაც ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენას და სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

თბილისის მერის განცხადებით, გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციის პროცესში აღმოჩენილი ყველა არქეოლოგიური ნივთი მაქსიმალურად შენარჩუნდება და საბოლოოდ, მუზეუმში განთავსდება.

„თქვენც იცით, რომ გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაციის ფარგლებში დავამატეთ შენობა-ნაგებობები, რისთვისაც პრემიერ-მინისტრმა დამატებით გამოგვიყო თანხები. ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო მოედანი და მიზიდულობის ადგილი თბილისში, რომელიც არის ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლი.

აქ არსებული ისტორიული შენობა-ნაგებობები აღდგენილი და მოწესრიგებული იქნება. სამუშაოები სექტემბრისთვის უნდა იყოს დასრულებული. როდესაც მიმდინარეობს მიწისქვეშა სამუშაოები, არქეოლოგიურად საინტერესო ნივთები ამოდის.

ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც ახლა ხელში მიჭირავს, არის თასი, დაახლოებით XI-XII საუკუნის. ძალიან ბევრი მსგავსი ნივთია ამოღებული, რომელთა კონსერვაცია ხდება. ყველა ეს ნივთი განთავსდება მუზეუმში, რომელიც აქ გაკეთდება და დამთვალიერებლისთვის აქ მოსვლა საინტერესო იქნება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ღვინის რეკორდი – ექსპორტმა თითქმის 100 მლნ ბოთლს მიაღწია

2019 წელს საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში 94 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო იყო ექსპორტირებული, რაც აბსოლუტური რეკორდია. რაც ყველზე მნიშვნელოვანია 2018 წლის ექსპორტის მართლაც გამორჩეულ ოდენობას შარშანდელმა მონაცემებმა 9%-ით გაადაჭარბა. მსოფლიო ბაზრებს თანდათან იპყრობს ქვევრის ღვინო, რომლის პოპულარობაც თვალსა და ხელს შუა მატულობს.

მათი ცნობით, ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 240 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2018 წლის ანალოგიურ მონაცემზე 17%-ით მეტია.

ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: **პოლონეთი** — 17% (4114972 ბოთლი), **ჩინეთი** — 2% (7089259 ბოთლი), **აშშ** — 48% (678148 ბოთლი) და **დიდი ბრიტანეთი** — 60% (168307 ბოთლი).

ზრდა აღსანიშნავია ასევე შემდეგ ქვეყნებში: ლიეტუვა - 45% (708408 ბოთლი), გერმანია — 40% (671 453 ბოთლი), ბელარუსი — 74% (2787065 ბოთლი), ისრაელი — 80% (324700 ბოთლი), ესტონეთი — 20% (693248 ბოთლი), რუსეთი — 9% (58384540 ბოთლი), მოლდოვა — 8738% (625724 ბოთლი), ნიდერლანდები — 17% (96464 ბოთლი), ჩეხეთი — 34% (83136 ბოთლი), შვედეთი — 636% (92214 ბოთლი), ბულგარეთი — 30% (34734 ბოთლი), მონღოლეთი — 40% (297576 ბოთლი) და ა.შ.

ღვინის ექსპორტის რეკორდულ მაჩვენებლებს დადებითი გამოხმაურება მოჰყვა როგორც სპეციალისტებში, ასევე ბიზნესმენებში. ახლა მთავარია, კიდევ უფრო გაიზარდოს ქართული პროდუქციის ხარისხი, რაც მომავალში შედეგს უფრო მეტად გააუმჯობესებს.

ღვინის მწარმოებელი კომპანია „შუხმან ვაინს ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი **ნუცა აბრამიშვილი** აქცენტს სწორედ ღვინის ხარისხზე აკეთებს და აღნიშნავს, რომ ჩვენი პოზიციონირება მსოფლიოში უნდა იყოს — **ვაწარმოებთ ცოტას, მაგრამ ხარისხიანს.** ქვევრის ღვინოებს საექსპორტო ბაზრებზე სამჯერ მეტი ღირებულება აქვს, შესაბამისად მსოფლიო ბაზრებზე საკმაოდ მაღალ ფასად იყიდება.

„შუხმან ვაინსის“ გენერალურმა დირექტორმა აზიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიმართულებით, პოზიციების გამყარებაზეც ისაუბრა და თქვა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ღონისძიებების მოწყობა იგეგმება.

„აზიის მიმართულებით მუშაობა რამდენიმე წლის წინ დავიწყეთ და 2020 წელს ამ დიდ ბაზარზე ჩვენი პოზიციების გამყარებას ვგეგმავთ. ეს არის ძალიან რთული პროცესი, მით უმეტეს როდესაც ქართული ღვინო ახალი პროდუქტია მათთვის და ერთი მხრივ, მომხმარებელს ვაჩვევთ და მეორე მხრივ, ხარისხზე ვმუშაობთ, რომ მუდმივად მაღალი ხარისხის ღვინო იყოს და არ იყოს რაიმე ცვლილებები ხარისხში. ეს იქნება ჰონგ-კონგის, სინგაპურის, ჩინეთში — პეკინისა და შანხაის მიმართულებით გარკვეული სახის აქტივობები.

ბოლო მოვლენა ამერიკის პრეზიდენტის მიერ ევროპულ ალკოჰოლურ სასმელებზე დაწესებული შეზღუდვა შესაძლოა, ქართული ღვინის ექსპორტზე დადებითად აისახოს, აქაც ვხედავ პოტენციალს“, — უთხრა „ბიზნეს მედიას“ „შუხმან ვაინსის“ გენდირექტორმა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 341-მა კომპანიამ განახორციელა. ამასთან, მსოფლიოს 25 ქვეყანაში ექსპორტირებულია 31,6 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 58%-ით აღემატება 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ეკა ბაძრაძე

ციხესიმაგრე ლა მოლი, სადაც ანტუანმა ბავშვობის წლები გაატარა.

„ყველა გზას ადამიანებამდე მივყავართ“,

– ასე ამბობდა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი



ფრანგული ტექსტი ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

ანტუან დე-სენტ-ეკზიუპერის ცხოვრების ძირითადი მოვლენები

1900 წ. ლიონში, პეირის ქუჩა №8, დაიბადა ანტუან მარი ჟან-ბატისტ როჟე დე სენტ-ეკზიუპერი.

1904 წ. ბავშვებს მამა გარდაეცვალათ. მარი დე სენტ-ეკზიუპერი ბავშვებიანად ლიონში სახლდება, ბელკურის მოედანზე, თავის დეიდასთან მადამ ტრიკოსთან.

1908-1917 წ.წ. დაფიქრებული და მეოცნებე ანტუანი ლიონში ქრისტიანი ძმების წმიდა ბართლომეს დაწყებითი კლასების მოწაფეა, მერე 1914 წლამდე ძმასთან – ფრანსუასთან ერთად მანსეში სენტ-ჯრუას იეზუიტურ კოლეჯში სწავლობს, მერე კი ძმები სწავლას ფრიბურის (შვეიცარია) მარისტების კოლეჯში განაგრძობენ.

1912 წ. ივნისი. თუმცა დედა უშლიდა, მაგრამ ლიონის აღმოსავლეთით ამბერიეს აეროპორტში მფრინავ გაბრიელ ვრობელსკისთან ერთ საჩვენებელ ფრენაში პირველი ნათლობა მიიღო.

1919 წ. ეკოლ ნავალში (სამხედრო-საზღვაო კარიერა არ შედგა) გამოცდებზე გასვლა წარუმატებელი გამოდგა. ნატიფი ხელოვნების აკადემიაში ხუროთმოძღვრების განყოფილებაზე თავისუფალ მსმენელად ეწერება. ცოტაოდენ ფულს შოულობს სხვადასხვა სამუშაოზე, მათ შორის „შატელში“ მეორეხარისხოვანი როლისას.

1921 წ. 9 აპრილს ანტუანი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. უბრალო ჯარისკაცად გაგზავნეს სტრასბურგში მე-2 კლასის ავიაპოლკში არამფრინავ შემადგენლობაში და უბრალო მექანიკოსობას ეწევა სარემონტო სახელოსნოებში. იმავდროულად თვითმფრინავის მართვას სწავლობს რობერ აების ხელმძღვანელობით.

1923 წ. იანვარში სენტ-ეკზიუპერი პირველ ავარიას განიცდის ჰაერში ჯანმრთელობისთვის მძიმე შედეგებიანს. გაბაფხულზე ჯვარს იწერს ლუიზა დეევილმორენზე. თუმცაღა, იმავე შემოდგომაზე ლუიზას მიზეზით ქორწინება ჩაიშალა.

1922 წ. თებერვალში საფრენი სწავლების კურსს გადის ისტრაში და 10 ოქტომბერს, იღებს რა მარაგის უმცროსი ლეიტენანტის წოდებას, სამსახურის ადგილად ირჩევს პარიზის მახლობლად ბურჟეში 34-ე საავიაციო პოლკს.

1924 წ. ტოვებს თუილრი დე ბუარონს, სადაც ერთი წელიწადი იმუშავა აგურის ქარხანაში და მონლიუსონის რაიონში საავტომობილო ფირმის „სორერის“ აგენტი ხდება სატვირთო ავტომობილების გასაღების კუთხით.

1925 წ. ანტუანი პარიზში ეცნობა თავისი დეიდაშვილის იოვანა დე ლენსტრანჟის სალონის მუდმივ სტუმართ: გამომცემელ გასტონ გალიმარს, მწერლებს ანდრე ჟიდსა და ჟან პრევოს, რომელიც ისე მოხიბლა ახალგაზრდა კაცის ნიჭიერებამ, რომ ერთ-ერთი პირველი მოთხრობის გამოცემა შესთავაზა.

1926 წ. აპრილში ჟურნალ „ლა ნავირ დ'არჟან“-ში („ვერცხლისფერი ხომალდი“) გამოჩნდა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერის მოთხრობა „მფრინავი“. თვალსაჩინო მეწარმის ბეპო დე მასიმოს ნაცნობობამ კვლავ გაუხსნა ანტუანს გზა ავიაციაში.

1927-1928 წ.წ. სენტ-ეკზიუპერის ავიაფოსტა დააქვს ცულუზა-კასაბლანკა-დაკარის მარშრუტით. ივნისის დამდეგს ანტუანს ჭლექით უკვდება უფროსი და მარი-მადლენი.

1929 წ. სენტ-ეკზიუპერი ნახევარი წლით საფრანგეთში ბრუნდება და ხელშეკრულებას დებს გამომცემელ გასტონ გალიმართან შვიდი რომანის გამოცემის თაობაზე. ნავიგაციის განხრით ლექციებს ესწრება ბრესტში. სექტემბერში (ჩასვლით 12 ოქტომბერს ჩადის) ბუენოს აირესში დაინიშნა ფრანგული ავიაკომპანიის „აეროპორტალ არგენტინას“ ადგილობრივი განყოფილების დირექტორად.

გამომცემლობა გალიმარში გამოდის ანტუანის „სამხრეთის საფოსტო“ („ფოსტა სამხრეთით“).

1930 წ. 7 აპრილს ანტუანი საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი ხდება. 13 ივნისიდან 18 ივნისამდე სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნით მთებზე ურთულეს პირობებში მიფრინავს მფრინავ დელეისთან ერთად, ეძებს და გადაარჩენს თავის მეგობარ გიიომს, რომელმაც ანდებში ავარია განიცადა.

1931 წ. იანვარში სენტ-ეკზიუპერი საფრანგეთში ბრუნდება „ღამის ფრენის“ ხელნაწერიანად, რომელიც მალევე გამოქვეყნდა. წლის ბოლოს იღებს ფრიად სახელიან ლიტერატურულ „ფემინის“ პრემიას, 11 აპრილს ჯვარს იწერს კონსუელოზე აგეის ეკლესიაში, 22 აპრილს კი ქორწინება ნიცის მერიაში გატარდა. მაისიდან დეკემბრის ჩათვლით დაფრინავს ღამით ზღვაზე კასაბლანკა-პორტ ეტიენის მიმართულებით.

კომპანიის ფინანსურად გაკოტრების გამო ანტუანი თავის უფროსთან დიდიე დორასთან ერთად, რომელიც მან განადიდა თავის ახალ წიგნში, მიდის „აეროპოსტალი“-დან.

1932-1933 წ.წ. დაფრინავს მარსელსა და ალჟირს შორის საფოსტო ხაზზე და ფოსტა დააქვს დაკარში. ამერიკელნი ანტუანის „ღამის ფრენის“ მიხედვით იღებენ ფილმს.

1933 წ. მ. ბურდეს წიგნისთვის „ავიაციის სიდიადე და კაბალა“ წერს წინათქმას. საფრანგეთის ყველა ავიახაზი ერთიანდება კომპანია „ერ ფრანს“-ში, სენტ ეკზიუპერი მფრინავად სთავაზობს თავის კანდიდატურას, მაგრამ უარს ეუბნებიან.

1934 წ. აპრილში ის „ერ ფრანს“-ში ავიაციის პროპაგანდის სამსახურის ლექტორად ეწყობა. ივლისში სენტ-ეკზიუპერი გადადის პარიზში, შანალეის ქუჩა !5 იოვანა დე ლენსტრაჟის სალონში ეცნობა **მადამ ნ.**, რომელიც მის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. „ელ ფრანს“-ის დავალებით სენტ-ეკზიუპერი 12 ივლისს მიემგზავრება საიგონში და გზად იძულებული მდინარე მეკონგის დელტაში ჯდება. 22 ივლისს კი გულგატეხილი და გაღიზიანებული მარსელში ბრუნდება. დეკემბერში პირველი განცხადება შეაქვს თვითმფრინავთა დაჯდომის ახალი სისტემის გამოგონების თაობაზე (სულ 10 გამოგონება აქვს თავისი დროის მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დონეზე). ამთავრებს ფილმის – „ფოსტა სამხრეთით“ სცენარს, რომელსაც დადგამს რეჟისორი მიიონი.

1935 წ. აპრილში სენტ-ეკზიუპერი როგორც გაზეთ „პარისუარ“-ის სპეკორესპონდენტი ეწვია მოსკოვს.

14 მაისს გაზეთის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ანტუანის მგზავრის ჩანაწერები სათაურით – „გზად სსრ კავშირში“. ამ ნარკვევის ეპიზოდი მოგვიანებით ფილოსოფიურად გაიაზრება მწერლის რომანში „ადამიანების მიწა“.

მ. ფრუნზეს სახელობის (როდინკაზე) ცენტრალურ აეროდრომზე სენტ-ეკზიუპერი როგორც მგზავრი, კატასტროფამდე ერთი დღით ადრე, ათვალიერებს ცაში ახალ გიგანტ-თვითმფრინავს „მაქსიმ გორკის“ და წერს ნარკვევს, რომელიც 1935 წლის 20 მაისს დაიბეჭდა გაზეთ „იზვესტიაში“. შემდგომ ის კიდევ ხუთ წერილს წერს სსრ კავშირის ცხოვრებიდან, რომელმა წერილებმაც მკითხველთა დიდი ყურადღება მიიქციეს. მოსკოვში ერთ-ერთ მიღებაზე ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი ხვდება მწერალ მიხაილ ბულგაკოვს, რომელზეც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს.

დიდი მატერიალური პრობლემები კი ჰქონდა, მაგრამ საჭირო ფული ისესხა და შეიძინა თვითმფრინავი „სიმუნი“ იმ იმედით, რომ ახალ რეკორდს დაამყარებდა პარიზიდან საიგონში გადაფრენის სიჩქარეში. სწრაფად მოემზადა რა ესოდენ რთული საჰაერო მოგზაურობისთვის, სენტ-ეკზიუპერი თავის მექანიკოს პრევოსთან ერთად აფრინდა 1935 წლის 29 დეკემბერს იმ ანგარიშით, რომ რეკორდს დაამყარებდა 31 დეკემბრამდე (აუცილებელი პირობა იყო პრემიის მისაღებად).

30 დეკემბერს, ღამის 2 საათსა და 45 წუთზე ისინი მთელი სიჩქარით შეიჭრნენ ლიბიის უდაბნოს ქვიშაში და კვლავ სასწაულად გადაურჩნენ სიკვდილს. რამდენიმე დღე წვეთი წყალი არ ჰქონდათ, არადა, წყურვილი კლავდათ და ამაოდ ცდილობდნენ უდაბნოდან თავის დაღწევას. ბოლოს გაუწყლოებულნი და ქანცგაწყვეტილნი მომთაბარე თუ უფრო სწორად, ქოჩადმავალმა ბედუინთ გადაარჩინეს. ეს განცდები და განსაცდელი საფუძვლად დაედო რომანს – „ადამიანების მიწა“.

1936 წ. სენტ-ეკზიუპერი და პრევო ცხოვრებას დაუბრუნდნენ და კაიროში ჩავიდნენ, საიდანაც ანტუანი ტელეფონით ესაუბრა კონსუელოს. გაბაფხულზე სენტ-ეკზიუპერი რამდენიმე კვირა მაგადორაშია (მაროკო) ამერიკული ფილმის „ფოსტა სამხრეთით“ გადაღებაზე. ერთ-ერთ ეპიზოდში ის თავის თავს ახმოვანებს, იწყებს „ციტადელზე“ მუშაობას.

17 ივლისს იწყება სამოქალაქო ომი ესპანეთში, აგვისტოში კი სენტ-ეკზიუპერი როგორც ფრანგი კორესპონდენტი ჩადის ბარსელონაში, სადაც ძმათამკვლელი ომის თვითმხილველი ხდება. წერს სამხედრო რეპორტაჟების მთელ სერიას.

7 დეკემბერს ატლანტიკის წყლებში იკარგება ლეგენდარული ფრანგი მფრინავი, ანტუანის მეგობარი ჟ. მერმოზი. სანტ-ეკზუპერი თავზარდაცემულია. წერს მეგობრისადმი მიძღვნილ რამდენიმე სტატიას.

1937 წ. იანვარში სენტ-ეკზიუპერი ლაინერ „ილ დე ფრანს“-ით ჩადის ამერიკის შეერთებულ შტატებში, რათა ნიუ-იორკიდან ცეცხლოვან მიწაზე გადაფრინდეს. თებერვლის შუა რიცხვებში გვატემალა-სიტის აეროდრომიდან საწვავით გადატვირთული მანქანით აფრენილი უმძიმეს ავარიაში ხვდება. მექანიკოსი პრევო მძიმედ დაშავდა. თვითონ სენტ-ეკზიუპერი მთელი კვირა გონდაკარგულია. დაუზიანდა თავის ქალა.

1937 წ. სადაზღვევო კომპანიისგან მიღებული ფულით იძენს ახალ თვითმფრინავ „სიმუნს“ და პირველი ამყარებს კავშირს კასაბლანკა-ტიაბუკტუს (აფრიკა) შორის. აპრილსა და ივლისის შუა რიცხვებში ის მეორედ მიდის ესპანეთში კარაბანსელის ფრონტზე. ე. ჰემინგუეისთან, ჯ. დოს პასოსთან, ა. ჟანსონთან და ჟ. კესელთან ერთად მონაწილეობს საბრძოლო მოქმედებებში რესპუბლიკელთა მხარეზე.

1939 წ. იანვარში ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენის ოფიცერი ხდება. თებერვალში გამოდის „ადამიანების მიწა“, რომელიც იღებს ფრანგული აკადემიის გრან-პრის (რომანის დიდ პრემიას). ამერიკის შეერთებულ შტატებში „ადამიანების მიწა“ გამოდის ამერიკული სახელწოდებით – „ქარი, ქვიშა და ვარსკვლავები“, იღებს წლის ეროვნულ პრემიას, მარტში ის კვლავ მიემგზავრება გერმანიაში (ამჯერად მანქანით), სადაც აკრიტიკებს ფაშისტურ რეჟიმს. განაგრძობს საგამომგონებლო მოღვაწეობას.

1940 წ. 10 მაისს იწყება გერმანელთა შემოსევა. სენტ-ეკზიუპერი ხვდება საფრანგეთის მთავრობის მეთაურს პოლ რეინოს.

22 მაისს „ბლოკ-174“-ი თვითმფრინავით სენტ-ეკზიუპერი თავის სამკაციან ეკიპაჟთან ერთად ახორციელებს დაუჯერებლად სახიფათო ფრენას არასის დასაზვერად. სარდლობის დავალების შესრულებისთვის ანტუანს აჯილდოებენ სამხედრო ჯვრით I „საბრძოლო დამსახურებისთვის“. ამ ფრენისას თავის განცდებსა და ფიქრებს წერს „სამხედრო მფრინავში“. 14 ივნისს გერმანული ჯარი პარიზში შედის.

17 ივნისს ავიამზვერვათა ჯგუფი 2 გადადის ალჟირში. ოთხძრავიან „ფარმანის“ საჭევარს მართავს კაპიტანი დე სენტ-ეკზიუპერი და გადაჰყავს ფრანგ და პოლონელ მფრინავთა ჯგუფი, რომელ მფრინავთა მიზანია საფრანგეთის საზღვრებს გარეთ, ბორდოდან ალჟირ-

პატარა ანტუანი დედმამიშვილებთან

ანტუანის მშობლები.

ში მრძოლის გაგრძელება.

22 ივნისს დაზავების შემდგომ სენტ-ეკზიუპერი დემობილიზებულია. 5 აგვისტოს მარსელის წიაღ ზღვით მრუნდება აგეში დის სახლში და მუშაობს „ციტადელზე“. ჯერ ვიშის მოინახულებს, მერე პარიზში მიდის თავის მეგობარ ლავერცისთან.

1941 წ. სენტ-ეკზიუპერი ამერიკის შეერთებულ შტატებშია და ცდილობს ამერიკელთა დარწმუნებას მოკავშირეებთან ერთად ომში უსწრაფესად ჩართვის აუცილებლობაში.

1942 წ. თებერვალში „სამხედრო მფრინავი“ (ამერიკულ ვარიანტში „ფრენა არასის თავზე“) გამოდის ამერიკის შეერთებულ შტატებში და დიდად გახმაურდება. საფრანგეთში შეზღუდული ტირაჟით გამოცემული (2000 ცალი) ცენზურამ აკრძალა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში წიგნის დიდი წარმატების შემდეგ სენტ-ეკზიუპერი გამომცემლობა „რეინან და ხიჩკოკისგან“ შეკვეთას იღებს ბავშვებისთვის ზღაპრის დაწერის თაობაზე.

12 მაისს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას. ზაფხულში ახლობელი ქალის სილვია რეინჰარდტის სახლში გაჩაღდა მუშაობა ავტორის მიერ დასურათებულ „პატარა უფლისწულზე“, რომელიც გვიან შემოდგომით გასრულდა.

1943 წ. „პატარა უფლისწული“ 6 აპრილს გამოქვეყნდა შტატებში. თუმცა ბავშვთათვის და მოზრდილთათვის დაწერილი უჩვეულო ზღაპრის წარმატება ისე თვალსაჩინო არ იყო, როგორც სენტ-ეკზიუპერის წინა წიგნის წარმატება.

20 აპრილს სენტ-ეკზიუპერი ამერიკიდან მიდის და 4 მაისს უკვე ალჟირშია, სადაც მკურნალობის კურსს გადის. იქიდან ზაფხულში უბრუნდება თავის ავიაჯგუფს, რომელიც განლაგებული იყო მაროკოში, მაგრამ თუ ცაში არ არის და არ დაფრინავს, ანტუანს წერა არ ძალუძს.

1944 წ. სენტ-ეკზიუპერის „წერილი მძევალს“ ქვეყნდება ჟურნალში. ფრანგული წინააღმდეგობის გავლენიან მოღვაწეთა და ამერიკელი გენერლის იკერსის მხარდაჭერით (ავიაჯგუფი ახლა მოკავშირეთა ავიაციის შემადგენლობაში იბრძვის) მაიორ დე სენტ-ეკზიუპერის ავიაესკადრილიის მეთაურის მოადგილეს უფლება ეძლევა, რომ თავისი მშობლიური პროვანსის რაიონში (სარდინიაში ალჟირის აეროდრომიდან) კომუნიკაციათა და მოწინააღმდეგის ჯარის აეროფოტო გადაღებით განეხორციელებინა ხუთი სადაზვერვო ფრენა. ამ დრამატული ფრენების დროს მან სარდლობისთვის ფრიად ღირებული ცნობები მოიპოვა.

31 ივლისს 8:45 წასტიას ახლოისად ბორგოს აეროდრომიდან მაღალი სიჩქარის მზვერავი „ლაიტნინგ H-30 F5-B“, რომელსაც მაიორი ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი მართავდა, ჰაერში აიჭრება და კურსს აიღებს პროვანსის თავზე გრენობლ-შამბერ-ანესის რაიონში. 14:45 თვითმფრინავი მფრინავიანად ავიაბაზის არ უბრუნდება. მფრინავი დაკარგულად ითვლება.

1948 წ. სენტ-ეკზიუპერის დაკარგვის შემდგომ მწერლის ხელნაწერი მემკვიდრეობა, დედამისის სურვილით, გადაეცა m=mN (Nelly de Vogue), რომელმაც განსაკუთრებულად გულმოდგინე სამუშაო გასწია, დაამუშავა და მეგობართა დახმარებით ცალკე წიგნად გამოსცა სენტ-ეკზიუპერის „ციტადელი“ და წიგნი კაცობრიობის ძვირფას შენაძენად იქცა.

1997 წ. 7 სექტემბერს ხმელთაშუა ზღვაში, კუნძულ რიუს ახლოისად მარსელის აკვატორიაში ხომალდ „ჰორიზონტის“ გემბანზე, რომელი ხომალდიც ჟ.-კ. ბიანკოს ეკუთვნოდა, ხომალდისავე მუშაკმა ამიგ ბენამორმა სხვა ათასგვარ რამერუმესთან ერთად ზღვის ფსკერიდან ამოიღო ლითონის ფირფიტიანი ძეწკვი-სამაჯური, რომლის გაწმენდის მერე გამოიკვეთა სიტყვები „ANTOINE DE SAINT-EXUPERY (CONSUELO)“ და ნიუ-იორკის გამომცემლობა „Рейнал и Хичкок“-ის საფოსტო მისამართი.

2000 წ. შემოდგომაზე ისტორიკოს-მკვლევარმა ფილიპ კასტელანომ, იმ ასოციაციის თავკაცმა, რომელი ასოციაციაც ზღვის ფსკერზე მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპულ თვითმფრინავთა ძებნით არის დაკავებული, აღმოაჩინა „ლაიტნინგის“ ნაწილები, რომელთა იდენტიფიკაცია, გაიგივება, 2004 წლამდე გაგრძელდა.

გამოკვლევის შედეგად დამტკიცდა, რომ ზღვაში ნაპოვნი უცილობლად ეკუთვნოდა თვითმფრინავ „ლაიტნინგ H-30 F5-B“, რომლითაც უკანასკნელად გაფრინდა მაიორი ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი.

2006 წლის ივნისში ლე-ბურჟეში ოფიციალურად გაიხსნა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია, სადაც წარმოდგენილია ლეგენდარული მფრინავი მწერლის თვითმფრინავის ნაწილებიც.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

გზად, სოხუმში, მგალობლიშვილებთან...

გმადლობთ, ბორის ფოცხვერაშვილო!

ახლახან „საქართველოს რესპუბლიკაში“ (იანვრის მეხუთე ნომერში) გამოქვეყნდა ჩემი სიყრმის მეგობრის, საბჭოთა ეპოქის დიდგზაგამოვლილი ჟურნალისტის, ბორის ფოცხვერაშვილის წერილი-მოგონება, „დაუდგრომელი და ბობოქარი“, რომელიც ამაგდარ ექიმს, ბიძინა მგალობლიშვილს ეძღვნებოდა. ბატონ ბორისს რომ კალამი ემორჩილება და არც ისე იშვიათად, თავისი შემოქმედებით გვამხნევებს, არ ახალია. ამჟამადაც, აღნიშნული წერილით, მან ფრიად მასიამოვნა, რადგან წერილში საუბარი ჰქონდა უიშვიათეს პიროვნებაზე, ბიძინა მგალობლიშვილზე. მსგავსი გახსენებები მრავალმხრივაა საყურადღებო, მით უმეტეს, თუ ისტორიული ნიუანსები ნიჭიერადაც არის გადმოცემული...

წერილმა დიდად გამახარა, ვინაიდან პირადად ვიცნობდი ბატონ ბიძინა მგალობლიშვილს. იმხანად ხშირად დავდიოდი აფხაზეთში, რადგან გაგრაში პატარა ეზო და სახლი შევიძინე ანთიმოზ ივერიელის ცხოვრების ამსახველი რომანის, „კვალი მანათობელის“ გამოცემით მიღებული ჰონორარით. გაგრაში გამგზავრებისას, ბუნებრივია, მეუღლეც მახლდა ხოლმე თან, რომელიც, წარმოშობით, გულრიფშის რაიონის სოფელ განახლებიდან იყო. ამის გამო, გზად შევივლიდით ხოლმე ნათესავებში. ერთხელ, სტუმრობისას, მეუღლის ნათესავმა ექიმ ბიძინა მგალობლიშვილთან მიყვანა მთხოვა. ბატონ ბიძინასთან მოხვედრა, პაციენტთა სიმრავლის გამო, არ იყო იოლი. მიგვიღო ბატონმა ბიძინამ. სანამ ის პაციენტს სინჯავდა, მე ოთახში გამოფენილ სურათებს ვათვალიერებდი. ბატონო ბიძინა, ეს რა პატარა ერმიტაჟი მოგიწყვიათ-მეთქი, შევეხმიანე. ამის შესახებ შემდეგო, ბრძანა ბატონმა ბიძინამ. განვაგრძეთ ჩვენ ჩვენი საქმიანობა. კედლებზე მართლაც შესანიშნავი ნახატები იყო გამოფენილი: დალი, მონე, პიკასო, ვან გოგი, სავრასოვი, პეროვი, შიშკინი, რომელი ერთი გავიხსენო. მაგრამ ჩემი განსაკუთრებული განცვიფრება ამ ტილოთა ჩარჩოებმა გამოიწვია. მანამ არსად არ შემხვედრია ისეთი სინატიფით შესრულებული ჩარჩოები. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მათი მფლობელი არა მარტო შეძლებული, არამედ პოეტური გემოვნებითაც გამორჩეული პიროვნება უნდა ყოფილიყო. ნახელავით აღფრთოვანებულმა, კვლავ შევახსენე თავი ბატონ ბიძინას, ის უკვე მორჩენილიყო თავის საქმეს და ხელებს იბანდა.

— ეს ნახატები, — ბრძანა შემდეგ და გვერდით დამიდგა, — დიდად ძვირფასი გგონიათ ალბათ, იქნებ ფიქრობთ, ექიმი მგალობლიშვილი პაციენტებს ატყავებსო? — ნათქვამი ხალვათი ღიმილით დაასრულა და ერთ-ერთი მოოქროვილჩარჩოიანი სურათი ჩამოხსნა. ეს ჩემგან სახსოვრადო.

პეროვის „სამი მონადირე“ გახლდათ. მაღალხარისხიანი რეპროდუქცია აღმოჩნდა, თუმცა ჩარჩო იმდენად შესანიშნავი ჰქონდა, რეპროდუქციას კი არა, რომელსაც გნებავთ, ორიგინალს დაამშვენებდა.

არა, როგორ გეკადრებათ-მეთქი, წავილუღლუღე, სურათების გემოვნებით შერჩევამ და ჩარჩოების პოეტურობამ გამაოცა-მეთქი.

— რაც შეეხება პოეტურობას, — ბრძანა ბატონმა ბიძინამ, — კაცმა რომ თქვას, არც უმაგისობაა, ერთი წუთით...

მეც ბოდიში მოვუხადე, როგორც ვატყობ, ჩვენ ასე იოლად ვერ დავშორდებით ერთმანეთს, ჩავალ, თანმხლებთ გავაფრთხილებ-მეთქი.

— მანქანაში „დიდი, მაღალი თუთის ხე“ მედო, ჯერაც საღებავშეუშრობი ჩემი ახალი რომანი. ამოვიღე, ამას და ამას, „უბადლო მკურნალს“, წავაწერე და ბატონ ბიძინას მივართვი. მან, თავის მხრივ, თავისი „სამი მონადირე“ მიბოძა და ამიხსნა, რომ ეს „ძვირფასი“ ჩარჩო ბრინჯაოს მტვრის საღებავით გალამაზებული თხილის უბრალო ნაჭუჭები ყოფილა.

ღმერთმა გამომიგზავნა თქვენი თავი. რაკი წიგნის ბეჭდვის საქმეში ჩახედული ყოფილხართ... — თურმე ლექსებსაც წერდა. ბატონმა ბიძინამ მისი ლექსებით სავსე მოზრდილი რვეული გადმომცა.

გადავფურცლე რვეული, ნაჩქარევ დასკვნებს ვერიდები, ხოლმე, თუმცა რამდენიმე ლამაზი სტრიქონი უმალ მოიძია თვალმა. დავსხედით შემდეგ, ცოტა გავისაუბრეთ. იმხანად პროზას უფრო ვწერდი, ვიდრე ლექსებს, ამიტომ დავპირდი, რომ თბილისში მის შემოქმედებას ჩემს მეგობარ პოეტებს, ზაურ ბოლქვაძესა და ალერი ალიმონაკს გავაცნობდი. გაუხარდა, ვიცნობ მათ შემოქმედებას, უთუოდ დიდად დამეხმარებით, თუკი მათ ჩარევთო საქმეში... დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

წავედი გაგრაში. იქიდან რომ დავბრუნდი, ის ამბები მოხდა, რომელიც აგერ აქამდე რომ ვერ მოგვიშუშებია. შემდეგ კი ბატონი ბიძინას რვეული გამეცნა, თბილისში ვერ ვნახე, გაგრაში... ჩემს მშობლიურ სოფელში ასაკის გამო ვერ დავდივარ. წელს, ზაფხულში, ოთხმოცდა ხუთის გავხდები. დაბადების დღე მამისეულ სახლში მინდა გადავიხადო, არქივს გადარჩენილი ნაწილი იქ მაქვს, შეიძლება ბატონი ბიძინას ლექციების რვეულიც იქ აღმოჩნდეს.

ნაჩუქარი სურათი, სინანულით მინდა აღვნიშნო, გაგრაში დარჩა, ჩემს ახალ სახლში, უამრავ სხვა ჩემთვის ძვირფას ნივთთან ერთად, რომლებიც უკვალოდ გაანადგურეს სიძულვილის იმპერიის მიერ გათავხედებულმა ნაძირლებმა.

ეს გახლდათ სულ, რისი თქმაც მსურდა. თავად ბორის ფოცხვერაშვილს და „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას დიდ მადლობას მოვახსენებ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სწორედ ამგვარი გახსენებებით გავიკვლევთ გზას ადამიანები ერთმანეთის გულებისკენ.

დავით ასკურავა.

ბრიტანელ მოგზაურს მოპარული ველოსიპედის ნაცვლად ახალი აჩუქეს

საქართველოში ჩამოსულ ბრიტანელ მოგზაურს როუან კემპბელს, რომელიც სინგაპურიდან დიდ ბრიტანეთში ველოსიპედით მოგზაურობს, თბილისში ველოსიპედი მოპარეს, რის სანაცვლოდაც მას ადგილობრივმა კომპანიამ ახალი სატრანსპორტო საშუალება აჩუქა. როგორც სოციალურ ქსელში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი წერს, ასეთია რეალური ქართული სტუმართმასპინძლობა.

„ასეთია ქართული სტუმართმასპინძლობა! ჩვენს ბრიტანელ სტუმარს ბევრი საჩუქარი გაუკეთეს ჩვენმა მოქალაქეებმა და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა. ველოსიპედი Bikes.ge ორი ღამე სასტუმროში „Best Western Gudauri“ და ტრადიციული ქართული ვახშამი, 2 ღამე ჰოსტელში „Fabrika“, — წერს ქვრივიშვილი.

შეინ როზენტალი: ჩვენ ანაკლიის პორტის პროექტის მხარდამჭერები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვრჩებით

2018 წელს აზიის განვითარების ბანკმა (ADB) და ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გააფორმეს, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისა და სპეციალური ეკონომიკური ზონის განვითარების შესაძლებლობების შესწავლასა და გამოვლენას. რამდენიმე დღის წინათ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ ხელშეკრულება ოფიციალურად შეწყდა და პროექტის ბედი დღემდე გაურკვეველია.

აზიის განვითარების ბანკის (ADB) საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორი შეინ როზენტალი „კომერსანტთან“ საუბრისას ანაკლიის პორტის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ ბანკი პროექტის მხარდამჭერი ხანგრძლივი დროის განმავლობაში დარჩება.

„2018 წლის სექტემბერში ხელი მოვაწერეთ ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს, რომელიც საქართველოში ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისა და სპეციალური ეკონომიკური ზონის განვითარების შესაძლებლობების შესწავლასა და გამოვლენას ისახავდა მიზნად. ვიდრე პროექტთან დაკავშირებული გარკვეული საკითხებია მოსაგვარებელი, ჩვენ პროექტის მხარდამჭერები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვრჩებით, რადგან მას, როგორც ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამის მამოძრავებელ ძალას, უდიდესი პოტენციალი აქვს, დაკავშიროს ცენტრალური აზია საერთაშორისო ბაზრებთან და მეტი ეკონომიკური სარგებელი მისცეს მთელ დასავლეთ საქართველოს. ჩვენ ველოდებით შესაბამის დაინტერესებულ პირებთან მუშაობას, მას შემდეგ, რაც მიმდინარე საკითხები მოგვარდება“, — აცხადებს შეინ როზენტალი.

შეგახსენებთ, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მასშტაბური საზღვაო სამუშაოები 2018 წლის 16 სექტემბერს დაიწყო. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, „ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტომ“ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ წერილობით 9 იანვარს აცნობა, რის შემდეგაც ხელშეკრულება ოფიციალურად შეწყდა.

როგორც ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოში აცხადებდნენ, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“, რომელმაც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის უფლება მოიპოვა სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე, ვერ შეასრულა საინვესტიციო ხელშეკრულების 7 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება. მათ შორის, ვერ მოიზიდა 120 მილიონი აშშ დოლარი საკუთარი კაპიტალის შესავსებად, ვერ წარმოადგინა გაფორმებული ხელშეკრულებები — საერთაშორისო ბანკებთან 400 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით სესხის გამოყოფის თაობაზე, პირველი ფაზის ტერმინალის ოპერატორთან და პირველი ფაზის სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორთან.

მთავრობის გადაწყვეტილებით, ახალი ინვესტორის მოძიებისა და ანაკლიის პორტის შემდგომი განვითარების მიზნით, დაიწყება პროექტის ხელახალი სატენდერო წინადადების მოსამზადებელი აუცილებელი პროცედურები.

ნინო თამაზაშვილი

„გადაჭარბებული რეაქცია“, ანუ მოსკოვისა და ცხინვალის ხედვები

რას ნიშნავდა ლავროვის განცხადება?

ამ დღეებში რუსეთის კვლავინდებურად პირველმა დიპლომატმა სერგეი ლავროვმა ე.წ. წნელისის კრიზისთან დაკავშირებული განცხადება გააკეთა და ოსური მხარის მიერ სოფელ წნელისის სიახლოვეს ქართული საპოლიციო საგუშაგოს გახსნის საპასუხოდ ახალგორელების ფაქტობრივ ბლოკადაში მოქცევა „გადაჭარბებულ რეაქციად“ შეაფასა. თუმცა ოფიციალური მოსკოვის პოზიციისადმი ტრადიციულად ყურადღებიანმა ცხინვალმა ლავროვის ეს განცხადება „არ შეიმჩნია“, მეტიც, ოსურ მედიას ის არც კი გამოუქვეყნებია. არადა, ეს რუსეთის ხელისუფლების პირველი ოფიციალური განცხადება იყო ე.წ. წნელისის კრიზისის დაწყების დროიდან — გასული წლის აგვისტოდან დღემდე.

სანამ რუსეთის ამ პოზიციისა და ცხინვალის მიერ მისი იგნორირების სავარაუდო მიზეზებზე გადავიდოდეთ, მოკლედ შეგახსენებთ თავად ლავროვის განცხადებას. მან, კერძოდ, ბრძანა:

“(...) ოსურ სოფელ წნელისის სიახლოვეს ქართველი ძალოვანების საგუშაგოს განთავსება მადესტაბილიზირებელ ფაქტორად იქცა. უნდა აღინიშნოს ცხინვალის გადაჭარბებული საპასუხო რეაქციაც. ორივე მხარეს თავშეკავებისკენ და სადავო საკითხების ჟენევის დისკუსიებსა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში დაგეგმილ შეხვედრებზე კონსტრუქციული განხილვისკენ მოვუწოდებთ. წნელისის კრიზისი მორიგი დასტურია საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას შორის საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის აუცილებლობისა, რის შესახებაც მუდმივად ვსაუბრობთ რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის დელეგაციები“.

რუს პოლიტოლოგ **ნიკოლაი სილაევის** აზრით, „გადაჭარბებულ რეაქციაში“ ლავროვი, უპირველესად, გულისხმობდა ფაქტობრივ პოლიტიკურ დატყვევებას ახალგორის ოკუპირებული რაიონის მოსახლეობისა, რომელსაც ე.წ. წნელისის კრიზისთან არავითარი კავშირი არ აქვს, ამ მოვლენებში ჩართული არ ყოფილა და, შესაბამისად, არც პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეს, არადა, ცხინვალის მიერ დე ფაქტო საზღვრის ჩაკეტვის გამო უკვე რამდენიმე თვეა, ურთულეს ჰუმანიტარულ ვითარებაში უწევს ცხოვრება.

ამასთან, სილაევი იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ლავროვის განცხადება პირველი შემთხვევაა მოსკოვისა და ცხინვალის პოზიციების დისტანცირებისა: **„ეს არ ნიშნავს, რომ მათი პოზიციები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ეს ნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთი თავად იღებს გადაწყვეტილებებს და თავადვეა პასუხისმგებელი, ამდენად, შესაძლებელია სიტუაციები, როცა მოსკოვი ამ გადაწყვეტილებებს სრულად არ იზიარებს, სრულად არ ეთანხმება. ლავროვის განცხადება შეიძლება, აღვიქვათ, როგორც მოსკოვის პოზიციონირება შუამავლად და არა რომელიმე ერთი მხარის უპირობო პროპონენტად“.**

ოსი პოლიტოლოგი **დინა ალბოროვა** ეწინააღმდეგება ახალგორელთა მიმართ სანქციებს, რომელიც, მისი შეფასებით, ადგილობრივებს პოლიტიკურ ტყვეებად აქცევს. ამასთან, მისი აზრით, „გადაჭარბებულ რეაქციაზე“ საუბრისას სერგეი ლავროვი არა მარტო დე ფაქტო საზღვრის ჩაკეტვას, არამედ მთლიანობაში წნელისის კრიზისზე ცხინვალის რეაქციას გულისხმობდა (იგულისხმება ულტიმატუმის წაყენების მცდელობაც, „შეჭრისა“ და „საზღვრისპირეთში მასშტაბური პროვოკაციებისა და დივერსიების მზადების“ შესახებ დე ფაქტო პრეზიდენტ ბიბილოვისა და ოსური უშიშროების განცხადებებიც, ასევე შეშფოთების სხვა გამოვლინებები, რომელთა ფონზეც მოსკოვი არა “„უსაფრთხოების უპირობო გარანტად“ წარმოჩინდა, როგორადაც მუდმივად წარუდგენენ ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას, არამედ მხოლოდ უმოქმედო დამკვირვებლად): **„რუსეთთან გაფორმებული უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების მიხედვით, ეს რუსეთის პასუხისმგებლობის სფეროა. ჩვენ ხომ ჩვენი ჯარი, ფაქტობრივად, საკუთარი ხელით გავანადგურეთ — ყველაფერი რუსეთს გადავეცით მფლობელობაში. და როდესაც წნელისი მოხდა, დღის წესრიგში დადგა საკითხი: რამდენადაა რეალურად დაცული სამხრეთ ოსეთი? საზოგადოებამ ეს საკითხი მკაფიოდ დააყენა, როდესაც საზღვრისკენ სახელმწიფო დაცვის, უშიშროებისა და სხვა ძალები წაათრიეს — ანუ ისინი, ვისაც, პრინციპში, იქ არაფერი ესაქმებოდა. და ისინი იქ სანგრებს თხრიდნენ, ყინვაში მუხლამდე წყალში მდგომნი იყინებოდნენ, როგორც 1990-იან წლებში. მოსკოვის რეაქცია კი ნული იყო. და ისევ ამოტივტივდა 2008 წლის მოგონებები, ხალხი სტრესშია: როგორ მოხდა ეს ყველაფერი? იცავენ კი საერთოდ ჩვენს საზღვრებს? დასკვნა ერთია: კითხვები უნდა დაისვას ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის (რუსეთის) მიმართ.**

— ფიქრობთ, პარტნიორი უკმაყოფილოა იმით, რომ ამ ვითარებაში უმოქმედოდ, გაუგედავადაც კი წარმოაჩინეს?

— ვფიქრობ, ეს გარკვეულწილად წყენაც კია. იქნებ მართლაც განსხვავებულად ვუყურებთ საფრთხეს? შესაძლოა, მოსკოვი ამაში საფრთხეს ვერც ხედავს, მაგრამ ოსურმა მხარემ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოებისთვის პირდაპირი საფრთხე განჭვრიტა. მით უფრო, რომ ისინი, ქართველი ძალოვანები დღემდე წნელისთან დგანან. რატომ უნდა შემოდიოდნენ ისინი ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში?.

ასეა თუ ისე, ლავროვის განცხადება აღიქმება ცხინვალზე ზეწოლად, დე ფაქტო საზღვარი გახსნას და ახალგორის ოკუპირებულ რაიონში ჰუმანიტარული ვითარება გამოასწოროს, — თანხმდებიან რუსი და ოსი დამკვირვებლები.

დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი **დიმიტრი სანაკოევი** დარწმუნებულია, რომ **„საზღვარი, ადრე თუ გვიან, გაიხსნება, უბრალოდ ცხინვალს ამ დათმობაზე წასასვლელად იმგვარი საბაბი სჭირდება, რომ საკუთარი სახის შენარჩუნება შეძლოს“.**

გასული წლის აგვისტოდან დღემდე ნაკეთები ალარმისტული განცხადებების ფონზე მსგავსი დამაჯერებელი საბაბის პოვნა ცხინვალისთვის ადვილი არ იქნება, თუმცა მოსკოვის ზეწოლით დე ფაქტო საზღვრის გახსნა, როგორც ჩანს, საბოლოოდ მაინც მოუწევს.

ამის ნიშანია დღევანდელი ნაბიჯიც.

აღშფოთებული ტრამპის სკანდალური ვიდეო

CBS NEWS-ი აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის 80-წუთიან სკანდალურ ვიდეოჩანაწერს აქვეყნებს, სადაც იგი უკრაინის ელჩის „თავიდან მოცილებას“ ითხოვს —აღნიშნული ვიდეო მედიას პროკურორმა ლევ პარნასმა მიაწოდა. ვიდეო ფარულადაა ჩაწერილი იმ დროს, როდესაც პრეზიდენტის სადილს ესწრებოდა მისსავე სასტუმროში, „ტრამპ ჰოთელში“. აღნიშნულ აუდიოჩანაწერში ტრამპი საუბრობს უკრაინასა და რუსეთზე.

„რამდენ ხანს გაუძლებს უკრაინა რუსეთთან ომს?“ კითხულობს ტრამპი, რაზეც დაუდგენილი პირი პასუხობს — „ჩვენ გარეშე, დიდხანს ვერ“. „ჩვენ გარეშე. ყველას ჩვენ როგორ უნდა ვეხმარებოდეთ“, — აცხადებს ტრამპი და შემდეგ ევროპის ქვეყნებს აკრიტიკებს, რომ ვაშინგტონთან ერთად ამ ტვირთს არ ინაწილებენ. ვიდეოში ასევე ჩანს, როგორ გასცემს აშშ-ის პრეზიდენტი ბრძანებას, გაძევონ უკრაინის ელჩი. „მოიცილეთ თავიდან! მოაშორეთ ხვალვე. არ მაინტერესებს. ხვალვე მოაშორეთ. მოიცილეთ! გასაგებია? ასე მოიქეცით“, — ამბობს ტრამპი.

ერაყში აშშ-ის საელჩოსთან 5 რაკეტა ჩავარდა

ერაყის მთავრობის ცნობით, შედეგად არავინ დაშავებულა და არც საელჩოს ინფრასტრუქტურა დაზიანებულა. ჯერჯერობით მომხდარზე პასუხისმგებლობა არავის აუღია. 2 დღის წინათ ბაღდადში გამართულ დემონსტრაციაზე მომიტინგეებმა ქვეყნიდან ამერიკული ჯარის გაყვანა მოითხოვეს. ამის შემდეგ სამართალდამცველებმა ქალაქის ცენტრში დემონსტრანტების ბანაკი დაარბიეს. აქციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის შეტაკებების შედეგად 75 ადამიანი დაშავდა.

ჩინეთმა იარაღის წარმოების მოცულობით რუსეთს გაუსწრო

ჩინეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მოცულობების შესაფასებლად ექსპერტებმა იარაღის მწარმოებელი ოთხი ჩინური კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები შეისწავლეს. მანამდე SIPRI-ს ჩინური კომპანიები რეიტინგში არ შეჰყავდა, ვინაიდან მათი პოტენციალის შესწავლა რთული იყო, თუმცა ბირჟაზე გასვლის შემდეგ ზოგიერთმა მსხვილმა კომპანიამ მონაცემების გამოქვეყნება დაიწყო.

SIPRI-ს ინფორმაციით, 2017 წელს იარაღის უმსხვილეს მწარმოებელთა ოცეულში 11 ამერიკული, 6 ევროპული და სამი რუსული კომპანია შედიოდა. ახლა ოთხივე ჩინური კომპანია — ტოპ-ოცეულში, სამი მათგანი კი პირველ ათეულში შედის. 2017 წელს ოთხმა ჩინურმა კომპანიამ ჯამში 54,1 მილიარდი დოლარის შეიარაღება გაყიდა, რაც იმავე წელს ათი უმსხვილესი რუსული კომპანიის მაჩვენებელს 16,4 მილიარდით აღემატება. ამასთან ერთად, SIPRI-ში ვარაუდობენ, რომ ჩინური კომპანიების მაჩვენებლები დეკლარირებულზე უფრო მაღალია. ჩინეთი იარაღის წარმოებით მსოფლიოში მეორე ადგილზეა.

◎ კრივი

გურულს ვერცხლის მედალი ერგო

სოფიაში (ბულგარეთი) მოკრივეთა A კატეგორიის 71-ე საერთაშორისო ტურნირ „სტრანჯა 2020-ში“ 34 ქვეყნის 253 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ხუთი სპორტსმენი საქართველოდან იყო: 22-წლამდელებში ევროპის ჩემპიონატისა და მეორე ევროპული თამაშების ვერცხლის პრიზიორი სახილ ალახვერდოვი (52 კგ), 22-წლამდელებში ევროპის ჩემპიონები — ლაშა გურული (63 კგ) და ესკერხან მადიევი (69 კგ), ასევე, გიორგი მანჯავიძე (75 კგ) და ნიკოლოზ ბეგაძე (91 კგ), მთავარი მწვრთნელი ბეჟან ჭიჭინავა (ექიმი დათა შამათავა).

ქართველთაგან წარმატებით იასპარეზა ლაშა გურულმა. ჩვენებურმა ზედიზედ დაჯაბნა რუმინელი ჯეიმს დამიან ჩერეჯი, მე-2 ნომრად განთესილი ბულგარელი კირილ რუსინოვი და ბრაზილიელი ანდერსონ ოლივეირა, ორი ოლიმპიადის მონაწილე, 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი და აზიის ჩემპიონი, 26 წლის ინდოელი შივა ტაპა, ხოლო გადამწყვეტი პაექრობა უკრაინელ იაროსლავ ხარციზთან წააგო და მეორე ადგილზე გავიდა.

საქართველოს მოკრივეთა ნაკრების დანარჩენი წევრები კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ.

ზაზა ლოლუა

◎ წყალბურთი

ევროპას ახალი ჩემპიონი ჰყავს

მამაკაცთა 16 და მანდილოსანთა 12 გუნდი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში, რომელმაც წყალბურთელ ქალ-ვაჟთა ევროპის 34-ე ჩემპიონატს უმასპინძლა.

უკვე ვწერდით, რომ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მეოთხედ მონაწილეობდა და წლეულს საუკეთესო შედეგი აჩვენა — მეათე ადგილი დაიკავა, არადა, გათამაშების ცხრილის მეცხრე საფეხურთანაც ძალიან ახლოს იყო, რომ არა გერმანიასთან დასანანი მარცხი ! 8:9 (3:2, 2:0, 2:3, 1:4)

საქართველო: შუბლაძე, ქავთარაძე, ცრეპულია (1), იმნაიშვილი (1), ბითაძე (1), ელაჩა, ჯახაია, ბაღათურია (1), რურუა (1), მაგრაქველიძე (1), ბარალდი, ვაპენსკი (2), რაზმაძე.

გერმანია: შენკელი, რეიბელი (1), ვან დერ ბოში, რეალი, შულცი, იუენგლინგი (1), სტრელეცკი, გიელენი (1), შტამი (2), კუკი, პესტოვიჩი (2), ეიდნერი (2), გოცი.

„ამ მატჩში ჩვენი მთავარი პრობლემა ფიზიკური მომზადება იყო და შეხვედრის ბედიც გამძლეობამ გადაწყვიტა, — თქვა პაექრობის შემდეგ რევაზ ჩომახიძემ — ჩვენ ჩემპიონატის პირველ ნახევარში გავიღეთ ყველაფერი, რომ მეცხრე ადგილისთვის გვებრძოლა. გერმანელებმა კი თავიანთი ძალა სწორედ შეჯიბრების მეორე ნახევარში გამოიყენეს. მარცხის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ევროპის ჩემპიონატზე მე-10 ადგილი ქართული წყალბურთისთვის დიდი წარმატებაა. ვფიქრობ, რომ ამ პირველობაზე კარგი თამაში ვაჩვენეთ და პროგრესით კმაყოფილი ვარ“.

ჩემპიონატის ბოლო დღეს მედლებისთვის ორი ფინალური პაექრობა გაიმართა. განსაკუთრებით დაძაბული აღმოჩნდა ფინალური ორთაბრძოლა უნგრეთსა და ესპანეთს შორის. ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 9:9. პენალტების სერიაში მადიართა მეკარემ მეხუთე დარტყმა მოიგერია (5:4) და თავის გუნდს ჩემპიონობა მოაპოვებინა. ამ წარმატებით უნგრელებმა ტოკიოს საგზურიც გაინაღდეს. ესპანელებს, როგორც ბარსელონაში ევროპის ჩემპიონატსა და შარშან მსოფლიოზე — ვერცხლის მედალი ერგოთ, მესამე ადგილზე გავიდნენ მონტენეგროელები, რომლებმაც დაძაბულ ბრძოლაში ხორვატები დაამარცხეს - 10:9.

საბოლოო შედეგები

ვაჟები: უნგრეთი, ესპანეთი, მონტენეგრო, ხორვატეთი, სერბეთი, იტალია, საბერძნეთი, რუსეთი, გერმანია, საქართველო, რუმინეთი, თურქეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, ჰოლანდია, მალტა;

ქალები: ესპანეთი (ფინალში რუსებს მოუგეს 13:12), რუსეთი, უნგრეთი, ჰოლანდია, იტალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, ისრაელი, ხორვატეთი, გერმანია, სერბეთი.

ლაშა დიდია

◎ ხელბურთი

„ქარიშხალა“ უდანაკარგოდ ლიდერობს

საქართველოს ხელბურთელ ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში წლეულსაც რვა გუნდი მონაწილეობს — ოთხი აღმოსავლეთისა და ამდენივე დასავლეთის რეგიონიდან. ქუთაისის სპორტის სასახლეში ოთხმა გუნდმა პირველი წრის ბოლო მე-7 ტურის ორთაბრძოლები გამართა. შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზორმა „ქარიშხალამ“ „აჭარას“ მოუგო სამბურთიანი უპირატესობით — 23:20 და 14 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს.

„სამტრედია“ — „პეგასის“ მატჩიც დაძაბულად წარიმართა. საბოლოოდ სამტრედიელებმა 25:20 აჯობეს მეტოქეს და გათამაშების ცხრილში 8 ქულით მესამე ადგილზე გადაინაცვლეს. ამდენივე ქულა აქვს ყვარლის გუნდს, ოღონდ პირველი წრის ბოლო ორ შეხვედრას 30-31 დეკემბერს თბილისში ჩაატარებს, სადაც მასთან ერთად დედაქალაქის „მამული“, წყალტუბოს „პრომეთე“ და ქვეყნის 2019 წლის ჩემპიონი ფოთის „ოქროს ვერძი“ ითამაშებენ.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
ქარიშხალა	7	7	0	0	194:165	14
ყვარელი	5	4	0	1	150:109	8
სამტრედია	7	4	0	3	131:127	8
ფოთი	5	2	1	2	96:81	5
აჭარა	7	2	1	4	152:143	5
მამული	5	2	0	3	112:124	4
პეგასი	7	2	0	6	150:176	4
წყალტუბო	5	0	0	5	69:129	0

თბილისი. 30 იანვარი. ყვარელი — ფოთი, მამული — წყალტუბო; **31 იანვარი.** მამული — ფოთი, ყვარელი — წყალტუბო.

გივი გაგუა

ესპანეთმა ტიტული დაიცვა

ხორვატი ხელბურთელი ვაჟები ევროპის ჩემპიონები არასდროს ყოფილან. მათი 69 წლის მწვრთნელი ლინო ჩერვარი სანაკრებო კარიერას ასრულებდა და მხოლოდ ეს ტიტული აკლდა — ის უკვე იყო ქვეყნის ნაკრებთან ერთად ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი. ამიტომაც ესპანელებთან ფინალურ მატჩში ხორვატები ორმაგად იყვნენ მოტივირებული. დასაწისიდანვე შეუტიეს პირენეელთა კარს და მე-19 წუთისთვის სამი ბურთით დაწინაურდნენ — 10:7. ამის მიუხედავად, ევროპის ჩემპიონები ტაიმის მიწურულს მაინც გავიდნენ წინ — 12:11. შესვენების შემდეგ ესპანელებმა კიდევ უფრო გაზარდეს უპირატესობა, თუმცა საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე ხორვატებმა წონასწორობა აღადგინეს — 18:18, მერე წინაც გავიდნენ, მაგრამ ბოლო წუთებში ესპანელებმა იძალეს, 22:20 გაიმარჯვეს, ევროპის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნეს და ტოკიოს ოლიმპიადის საგზურიც მოიპოვეს.

მე-3 ადგილისთვის პაექრობაში ნორვეგიამ სლოვენიას აჯობა — 28:20. ესპანეთმა, ხორვატეთმა და ნორვეგიამ 2021 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურები მოიპოვეს, ხოლო სლოვენია და პორტუგალია ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირზე ითამაშებენ.

თამაზ პატარიძე

◎ ავარიამ იმსხვერპლა!

საფრანგეთში ქართველი მორაგბე გარდაიცვალა

ფრანგული „გრაჰალეტის“ ქართველი მორაგბე ბექა ბურდიაშვილი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაიღუპა. აღნიშნული ინფორმაცია ფრანგული გუნდის ვებგვერდმა დაადასტურა.

27 წლის მორაგბე, რომელიდ ფედერალ 1-ის ბინადარ გუნდში 2014 წლიდან ირჯებოდა, სტადიონისკენ საკუთარი ავტომობილით მიემართებოდა და ხეს დაეჯახა, რის შედეგადაც გარდაიცვალა.

ფრანგული მედიის ცნობით, ავარიის მიზეზი ნისლი და მოლიპული გზის ზედაპირი გახდა. მანქანაში ბექა მარტო იმყოფებოდა, მისი გარდაცვალების გამო კი „გრაჰალეტისა“ და „ლავორის“ შეხვედრა გადაიდო.



კალიფორნიის შტატში, ქალაქ კალაბასასის მახლობლად ვერტმფრენმა კატასტროფა განიცადა. ადგილობრივი დროით 09:06 საათზე ჯონ უეინის აეროპორტიდან გაემგზავრა კერძო ვერტმფრენი , რომელიც დაახლოებით 40 წუთში კალაბასასის ზონაში ჩამოვარდა. ბორტზე ცხრა ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის, კალათბურთის ნამდვილი ლეგენდა კობი ბრაიანტი და მისი 13 წლის ქალიშვილი ჯანა. ყველა მგზავრი ადგილზე გარდაიცვალა.

კალათბურთის ლეგენდა დაიღუპა

როგორც ლოს-ანჯელესის ოლქის შერიფმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ტრაგედიის გამომწვევი მიზეზი უამინდობა, ნისლი და ცუდი ხივლადობა გახდა.

კობის ვერტმფრენი კალიფორნიაში მიდიოდა, სადაც „შავი მამბას“ ქალიშვილის ჯანას გუნდს ტურნირში უნდა მიეღო მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ გარდაცვლილთა ვინაობა არ გამოაქვეყნა, დადასტურებულია, რომ ბორტზე იმყოფებოდა ჯონ ალტობელი, ბეისბოლის მწვრთნელი და მისი ოჯახი — ქალიშვილი ალისია და მეუღლე კერი. ამის შესახებ მწვრთნელის ოჯახი იტყობინება. უბედური შემთხვევის შედეგად, პილოტის გარდა ასევე დადასტურებულია კრისტინა მაუსერის გარდაცვალება, რომელის კობის შვილის გუნდის მწვრთნელის ასისტენტი იყო. აღნიშნული ცნობა ქალბატონის მეუღლემ სოციალურ ქსელში დაადასტურა.

„შავი მამბა“ კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს მოთამაშედ იყო აღიარებული და NBA-ს ისტორიაში საუკეთესო მეოთხე მექულეც გახლდათ. კობი ხუთჯერ გახდა NBA-ს ჩემპიონი.

ლეგენდარული კობი ბრაიანტის სიცოცხლე 41 წლის ასაკში დასრულდა...

ცხონება

ღვთიური მადლით და მირონით...

დავით წერედიანის მარადიული ხსოვნა



თანამედროვე ქართულმა მწერლობამ, ქართულმა კულტურამ, სრულიად საქართველომ მძიმე, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი დიდებული წარმომადგენელი დავით ბესარიონის ძე წერედიანი, რომელიც მთელი თავისი არცთუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა ქართულ სიტყვას, ქართულ ლექსს, სენაკში დაყუდებული ბერივით იღვწოდა იმისთვის, რომ პირველხარისხოვანი თარგმანებით გაემდიდრებინა მისთვის აგრერიგად საესავი ქართული მწერლობა და ყოველივე ამას დიდი წარმატებით ახერხებდა...

დავით წერედიანი დაიბადა 1937 წლის 19 აგვისტოს. 1955 წელს თბილისის მე-60 საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1960 წელს დაასრულა. 1963 წლიდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში და ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა. საყოველთაო ინტერესი გამოიწვია მისმა ისეთმა მონოგრაფიამ, როგორიცაა „სვანური ხალხური პოეზიის ძირითადი ჟანრები“, რომლისთვისაც მას 1971 წელს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მიენიჭა. დიდი მოწონება ხვდა წილად მის ნაშრომს ქართული ზღაპრის გენეზისის შესახებ...

თუმცა, ქართველი მკითხველისთვის იგი, უპირველეს ყოვლისა, ბრწყინვალე პოეტი და მთარგმნელი იყო...

ვისაც კი წილად ხვდომია ბედნიერება, დავით წერედიანის ერთადერთი პოეტური კრებულის „ორიონის“ სიღრმეებს ზიარებოდა, ადვილად დარწმუნდებოდა იმ ჭეშმარიტებაში, რომ ამ კრებულში შესული ლექსები ღვთიური მადლითა და მირონით იყო გაპოხიერებული, რომ მათი ავტორი სრულყოფილად ფლობდა თანამედროვე ქართული ლექსის ყველა საიდუმლოებას და მკითხველს მის უჩინარ მღვიმეებში უწევდა მეგზურობას, ამ ლექსების ლირიკული გმირი გლეხის ბიჭი ლაზარე იყო, ხნულში რომ იდგა და ისე გალობდა მისი საესავი ქვეყნის გადარჩენის სიმღერას, მხოლოდ მას შეეძლო დაენახა, თუ როგორ ძალუმად ფეთქავს, მოხვივის და მოგალობს ქართლის ხასხასა ტანი, მტრედისფერ საგალობლებში წმინდა კვირიკეს ხედავდა და იმაშიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამქვეყნად ვერარა ძალას ძალუძს მისი სამშობლოს ხანძრით ამოშაშვრა და ვერარა ლახვრით განგმირვა ქართლის ველებზე მზეგუდობებად დაღვრილი მისი სხეულისა... ამ ლექსების წაკითხვის შემდეგ არ შეიძლება სევდიანი და ტკივილნარევი კითხვა არ ამოტივტივდეს ჩვენი ცნობიერებიდან: რატომ არ მიუძღვნა მთელი თავისი საქმიანობა პოეზიის მსახურებას? თუმცა დავით წერედიანის უბრწყინვალესი თარგმანების გაცნობის შემდეგ მსგავსი კითხვა ნამდვილად კარგავს აქტუალობას.

დავით წერედიანის თარგმანები ხომ XX–XXI საუკუნეების ქართული მწერლობის ორგანულ ნაწილად იქცა, რომელთა არსებობის გარეშე გაცილებით ღარიბი იქნებოდა ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურა. თავად განსაჯეთ. ფრანსუა ვიიონის დიდი და მცირე ანდერძი, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „ფაუსტი“, ძმები გრიმების ზღაპრების სამტომეული, შარლ ბოდლერის, არტურ რემბოს, ჰაინრიხ ჰაინეს, პაულ ცელანის, ვერლენის პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, ფედერიკო გარსია ლორკას „ბოშური რომანსერო“, პოლ ვალერის „ზღვის სასაფლაო“... როგორ შეიძლება ცალკე არ ითქვას მის მიერ თარგმნილ სვანური ხალხური პოეზიის ისეთ კრებულებზე, როგორიცაა „ირინოლა“ და „სვანური სიმღერების კვალდაკვალ“, რომლებმაც სვანეთის — საქართველოს ერთ-ერთი უმკაცრესი და ამ სიმკაცრით უმშვენიერესი კუთხის სიდიადესა და სილამაზეს გვაზიარა, იმ კუთხისა, სადაც იციან ჭეშმარიტი თავისუფლების ფასი და ისიც, რომ ამ თავისუფლებისათვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი...

დავით წერედიანის კალამს ეკუთვნოდა კრიტიკულ-ესეისტური კრებული „ანარეკლი“, რომელიც გამოსვლისთანავე ბესტსელერად იქცა.

დავით წერედიანის მრავალწლიანი მწერლური რუდუნება და ღვაწლი ქართული პოეზიის მწვერვალის — შოთა რუსთაველის სახელობის პრემიით აღინიშნა. მას მინიჭებული ჰქონდა აგრეთვე სამგზის „საბა“, მათ შორის ერთი — ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ასევე ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის სახელობის, „საგურამოს“ პრემიები. ამას გარდა, გივი მარგველაშვილის სახელობის პრემია ქართულ-გერმანულ ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და ფრანგულ-ქართული ინსტიტუტის პრემიები.

დავით წერედიანი დიდი ქართველი შემოქმედია, რომლის ლიტერატურული მემკვიდრეობა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ქართული მწერლობის საგანძურში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

შენი არყოფნით მორთული წუხილი და სიხარული...

საით მიდიან მინდვრები,
რატომ აჭრელდნენ ასე?
სად ვნახე წყვილი სანთელი,
ნუთუ სულეთის გზაზე?

ბატონო დავით, ძვირფასო დათო!

ასე იწყება შენი ბრწყინვალე ლექსი, რომელსაც „შერიგება“ უწოდე და რომლითაც, ჩემი მოკრძალებულზე მოკრძალებული აზრით, სამუდამოდ დაიმკვიდრე ადგილი XX–XXI საუკუნეების პოეტთა თანავარსკვლავედში. რა ღვთიურმა ძალამ აგაღებინა ხელში კალამი იმ დღეს, როდესაც ამ მაგიურ სტრიქონებს წერდი:

თეთრი ყვავილი შემომხვდა,
მაგრამ რა სურდა, ვერ თქვა,
ტანთ შენი კაბა ემოსა,
შენი სახელი ერქვა.
ივსება ჯავრის ფურცელი,
ჟამი მოგვდის და მიგვდის,
არც იცი, თეთრო ყვავილო,
როგორ უხდები სიკვდილს...

ვკითხულობ ამ სტრიქონებს და საოცარი სიმშვიდე, ნეტარებასთან წილნაყარი სიმშვიდე, მეუფლება და შლის იმ სამანებს, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის რომ ამართულა. არც ისე საშინელი მოჩანს სულეთის გზაზე შედგომა იმ კაეშნის კოშკიდან, შენ რომ გქონდა აგებული. იმ მაღალი და თვალთმიუწვდომი კოშკიდან, საიდანაც მუდამ სევდიანი თვალებით დაჰყურებდი ამა ქვეყნის ამაოებას ამაოთა...

მოვიდა, თავთით დამიჯდა,
ცისფრად დაფინა ჩრდილი,
შუბლზე თითები შემახო,
შვების ცრემლივით გრილი...

ასე როგორ გქონდა გამჯდარი სხეულში ქართული ლექსის მისტერია. ვკითხულობ შენს სტრიქონებს და თავისით ამოტივტივდება ჩემს ცნობიერებაში ცნობილი გამოთქმა ღმერთთან მებრძოლი იაკობისა. შენ არავითარი ბრძოლა არ გჭირდებოდა, უბრძოლველად გყავდა დამორჩილებული ქართული სიტყვა და კაცმა რომ თქვას, არც იყავი მებრძოლი ბუნებისა. შენ უფრო სენაკში დაყუდებულ ბერს მაგონებდი მუდამ, სანთლის შუქზე მირონცხებულ ბერს, უფალს რომ ევედრება ხოლმე მამულის გადარჩენას.

ვუთხარ: შენს კარად მოსული,
შენი სინათლის მჭვრეტი,
რისთვის რა ნატვრას ინატრებს,
რისთვის აღდგება მკვდრეთით...

შენ მართლაც იმ სინათლეების ჭვრეტა შეგეძლო, რომელიც რჩეულთა ხვედრია მხოლოდ. შენ ხომ საკუთარი ეტრატი გქონდა და ამ ეტრატზე დინჯად, დაუნჯებით გამოგყავდა ხატი, ნათლითა და სიმართლით მირონცხებული ხატი, შენი სულისა და მეობის საკადრისი ხატი...

თალხებს ჩაიცვამ, ლამაზო,
ისეც გშვენოდა შავი,
მოხვალ, დამხედავ, დამირგავ
კარზე ღვთისმშობლის ყვავილს...

მართლაც რომ ღვთისმშობლის ყვავილებით იქნება მორთული შენი სამარე, სამარე იმ შემოქმედისა, გლეხი ბიჭი ლაზარესავით რომ იდგა ხნულში და გალობდა, გალობდა და ქართლის ხასხასა ტანის გადარჩენას შესთხოვდა არსთაგამრიგეს. გალობის ჟამს კი თეთრი ქედნები მოფრინდებოდნენ ხოლმე და მხარზე გაჯდებოდნენ. აბა, სხვანაირად როგორ შეჰქმნიდი შენს მართლაცდა ღვთაებრივ სამყაროს, ქართული ენის მადლითა და მირონით გაჯერებულს. აკი გვჯერა, რომ შენი პოეტური ბილიკები უფლის წალკოტზე გადიოდა.

მერე შენს დღეებს, შეხვედრებს
ახლობელთან თუ სწორთან,
ყველა წუხილს და სიხარულს
ჩემი არყოფნით მორთავ.

რა შეიძლება, დავარქვათ შენთან ერთად გატარებულ წლებს, დღეებს, საათებს... ბედნიერება, სიხარული, სიამაყე. შენი ლექსი თუ თარგმანი ჩვენს გონებაში სამუდამოდ დამკვიდრდება, როგორც ქართული სიტყვის ზეიმი და დღესასწაული, რომელიც სითბოდ და სილამაზედ გეღვრება სულში და დაძაბუნების, მოდუნების უფლებას არ გაძლევს. შენს სულში ხომ სამუდამოდ იყო ჩაკირული სვანეთის — საქართველოს დაფარული საუნჯის მკვიდრთა ყველა თვისება, რომელთაგან ყველაზე ძვირფასი და განუმეორებელი ის გახლავთ, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლას მუდამ აქვს აზრი და, ალბათ, აქამომდე ამანაც მოგვატანინა თავი.

...შიგ მაინც სევდა ჩადგება,
მოუხელთები სხვისთვის.
არც იცი, თეთრო ყვავილო,
როგორ ვუხდებით სიკვდილს...

ახლა, როცა შენმა ანგელოზმა მწუხარედ დაკეცა ნელსევდიანი ფრთები, ყველას, ვინც შენ გიცნობდა და შენთან ურთიერთობის ბედნიერება ჰქონდა, ვისაც უფლის ლაჟვარდებით აპკურებდი, ვისაც ედემს ნაჟური წყლით არწყულებდი, დიახ, უკლებლივ ყველას, აღარ გაუჭირდება თავის დროზე არსთაგამრიგესთან მიახლება, რადგანაც ყველას კარგად ემახსოვრება, თუ შენ თავად როგორ მოუხდი სიკვდილს, რა ნათელი ადგა მახათას წმინდა მიწაზე შენს სახეს, ერთან თუ ბერთან ვალმოხდილ სახეს, როდესაც სულთა პეპელა დაგაფრინდა და გაგაბრწყინა.

ნათელში გამყოფოს უფალმა, დავით წერედიანო!

ზაალ ბოტკოველი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე.

ვებ-გვერდი: www.geomedi.edu.ge; **ელ.ფოსტა:** info@geomedi.edu.ge

ტელ.: 2 75 25 20

კახეთში ავტოსაგზაო შემთხვევას მამა-შვილი ემსხვერპლა

ველისციხე-ყვარლის დამაკავშირებელ გზაზე მომხდარ ავარიას მამა-შვილის სიცოცხლე ემსხვერპლა.

შემთხვევის შედეგად 24 წლის ახალგაზრდა და მისი 3 წლის შვილი დაიღუპნენ, 25 წლამდე ახალგაზრდამ კი სხეულის მრავლობითი დაზიანებები მიიღო. სამივე მათგანი გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხის მკვიდრია.

სანთელი

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე აკადემიის წევრის, პროფესორ ინდირა ძაგანიას მეუღლის, დამსახურებული ინჟინერ-მშენებლის, ღირსეული პიროვნების

ვარლამ (ვალერი) ჭოჭუას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს დედას, მეუღლეს, შვილებს და ნათესავ-ახლობლებს.

პანაშვიდი 28, 29 I, 16 სთ., თბილისი, ვაჟა-ფშაველას VI კვარტალი, XI კორპუსი, III სადარბაზო.

დაკრძალვა 30 I, 14 სთ., გამოსვენება წმინდა ნინოს ეკლესიიდან (უნივერსიტეტის ქ. 6).

საქართველოს პარლამენტის მე-5 მოწვევის ფრაქცია „საქართველოს რეგიონული მაჟორიტარების“ წევრები: მელორ ტყეშელაშვილი, არჩილ გოგელია, გოჩა ქიმაძე, მერაბ სამადაშვილი, რევაზ სუჯაშვილი, გურამ ვახტანგაშვილი, ალბერტ ინდუაშვილი, ვახტანგ ყანჩაველი, რეზო ფირაშვილი, პეტრე ბერაია, დემურ გადელია, არმაზ შამანაური, ენზელ მკოიანი, რევაზ ნოდარიშვილი, გოჩა გვარამაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან და სამძიმარს უცხადებენ ბოგი ლიპარტელიანს

დედის

გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტის ცენტრის დირექცია ღრმა მწუხარებას გამოხატავს და თანაუგრძნობს ამავე უნივერსიტეტის ვიცე-რექტორს, პროფესორ ხათუნა თოდაძეს უსაყვარლესი მამის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, საქართველოს თეატრის მოყვარულთა საზოგადოება „აიტა-იატა“-ს პრეზიდენტის, მსოფლიოს მრავალი თეატრალური ფესტივალის მონაწილე და პრიზიორის, მრავალი სამთავრობო და სახალხო ზეიმების რეჟისორის, ღირსების ორდერის კავალრის

გიორგი თოდაძის

გარდაცვალების გამო.

ნანული (ნანა) გუნია დიდი გულისტკივილით თანაუგრძნობს უსაყვარლეს ქალბატონს ლამარა ბოყოველ-ჯაჯანიძეს ძმისშვილის

რამინ ბოყოველის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ნანული (ნანა) გუნია თანაუგრძნობს ბატონ გიორგი (გია) ჯაჯანიძეს ბიძაშვილის

რამინ ბოყოველის

გარდაცვალების გამო.

ნანული (ნანა) გუნია თანაუგრძნობს ქალბატონ ნინო ჯაჯანიძეს ბიძაშვილის

რამინ ბოყოველის

გარდაცვალების გამო.

გარდაიცვალა კომპოზიტორი გომარ სიხარულიძე

77 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართველი კომპოზიტორი გომარ სიხარულიძე. წლების მანძილზე იგი თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკალურ კათედრას ხელმძღვანელობდა. არის არაერთი კამერულ-ინსტრუმენტული და საესტრადო ნაწარმოების ავტორი.

განსაკუთრებული აღიარება კომპოზიტორს ქართული კინოფილმებისთვის შექმნილმა მუსიკამ მოუტანა, მათ შორის ყველაზე პოპულარული ფილმ „ჩარი რამასთვის“ შექმნილი სიმღერებია.

ჯანდაცვის სამინისტრო მოქალაქეებს ურჩევს, ჩინეთში მოგზაურობა შეზღუდონ

ჯანდაცვის მინისტრის თქმით, ამ ეტაპისთვის ჩინეთიდან პირდაპირი რეისები გადადებულია, ხოლო შემდეგი რეისების გადადების საკითხზე გადაწყვეტილებას უმაღლეს დონეზე გამართულ შეხვედრაზე მიიღებენ. რაც შეეხება ჩინეთთან ვაჭრობის კუთხით შეზღუდვების დაწესებაზე, ამის შესახებ ჯერჯერობით რეკომენდაციები არ არის.

„ჩვენი საჰაერო მიმოსვლა ასევე არის კონტროლის ქვეშ და გვაქვს ყველანაირი ინფორმაცია ავიახაზებიდან, რომლებიც საქართველოში ახორციელებენ ფრენას თუ რომელი მგზავრი რომელი ლოკაციიდან იწყებს ფრენას და შესაბამისად, ყველა პრევენციული ღონისძიება, რომელიც დღემდე საჭირო იყო, გატარებულია სამინისტროსა და სახელმწიფოს მხრიდან. ჩინეთიდან პირდაპირი რეისები ამ ეტაპისთვის გადადებულია“, — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა.

ამ დროისთვის ჩინეთის ქალაქ უხანში საქართველოს სამი მოქალაქე რჩება. ჩინეთში საქართველოს საელჩოში კი ცხელი ხაზი მოქმედებს. საქართველოში ვირუსის გავრცელების შანსი მინიმალურია. საქართველოს აეროპორტებში მგზავრებს „კორონავირუსზე“ ამოწმებენ.

კორონავირუსზე მგზავრებს ქუთაისის აეროპორტშიც ამოწმებენ

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში სასწრაფოს ბრიგადის ექიმები კორონავირუსთან დაკავშირებით მგზავრებს ამოწმებენ. ექიმების თქმით, ქუთაისში მგზავრებს იქამდე შეამოწმებენ, სანამ ვირუსის გავრცელების საფრთხე არსებობს.

„ჩვენი სამსახური ჩაერთო კორონავირუსის გამოვლენის საქმეში. ვამოწმებთ ყველას, ვისაც აქვს კონტაქტი იმ ქვეყნებთან, სადაც ეს ვირუსი დაფიქსირდა. ამ ეტაპზე შემოწმებული გვყავს 10 მგზავრი. აქედან ზოგი თავისით მოვიდა და გვთხოვა, შეგვემოწმებინა, რადგან მათ გაიარეს ჩინეთში. არც ერთ მგზავრში საბედნიეროდ, არ გამოვლინდა მაღალი ტემპერატურა და კორონავირუსი. ზოგადად, საქართველო ითვლება დაბალი რისკის ქვეყნად ამ ვირუსთან მიმართებით. ვიდრე საფრთხე იარსებებს, მსგავსი ტიპის შემოწმება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში გაგრძელდება. ჩემი ჯგუფი 24-საათიან მორიგეობაში რჩება“, — აღნიშნა ექიმმა თამუნა დოლიძემ.

გარდაცვლილთა რიცხვი 80-ამდე გაიზარდა

ძვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, ინფიცირებულია 2 700 ადამიანი.

ჩინეთის ჯანდაცვის მინისტრი აცხადებს, რომ ვირუსის მატარებელ ადამიანს ვირუსის გადაცემა სიმპტომების გამოვლენამდეც შეუძლია, რაც მდგომარეობას უფრო ამძიმებს.

ქვეყნის მთავრობა მოუწოდებს ყველა ადამიანს, რომლებიც ბოლო 14 დღის განმავლობაში ქალაქ უხანში იმყოფებოდნენ, დროულად მიმართონ ექიმს.

გავრცელებული ინფორმაციით, ქალაქის ჩაკეტვამდე უხანი ხუთმა მილიონმა ადამიანმა დატოვა.

ჩინეთის ფინანსთა სამინისტრომ და ჯანდაცვის ნაციონალურმა კომისიამ კორონავირუსის გავრცელების შესაჩერებლად 60,33 მილიარდი იუანი (48,74 მილიარდი) გამოყო.

ჩინეთში საქართველოს საელჩოში კი ცხელი ხაზი მოქმედებს. საქართველოში ვირუსის გავრცელების შანსი მინიმალურია.

მაშველებმა პალიასტომის ტბაში ახალგაზრდა კაცის ცხედარი იპოვეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველებმა ფოთში, პალიასტომის ტბაში, გაუჩინარებული ახალგაზრდა კაცის ცხედარი იპოვეს.

კაცის გაუჩინარების შესახებ ინფორმაცია 4 იანვარს გავრცელდა. შეტყობინების ინიციატორის განცხადებით, მოქალაქე კონტაქტზე არ გამოდიოდა და საჭირო იყო საძიებო სამუშაოებში შესაბამისი უწყებების ჩართვა. დაკარგულის ადგილსამყოფლის დასადგენად, პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, საძიებო სამუშაოები დაიწყეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველებმაც.



თბილისიდან ფოთში გაემგზავრნენ განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების წყალზე სამაშველო და მყვინთავთა ჯგუფები, რომლებიც საძიებო სამუშაოებს პალიასტომის ტბიდან მდინარე კაპარჭინის შესართავამდე აწარმოებდნენ. ასევე, საძიებო-სამაშველო ოპერაცია მიმდინარეობდა მდინარე რიონში. ადგილზე შეიქმნა სამუშაო შტაბი, საიდანაც საძიებო სამუშაოების მართვა მიმდინარეობდა. პროცესში ჩართული იყო ექოლოტი და სპეციალური მცურავი ტექნიკა. ტერიტორიის მონიტორინგი მიმდინარეობდა დრონის საშუალებით.

ქვიშხეთში მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაღუპული ბავშვების დედაც გარდაიცვალა

საშური-ბორჯომის საავტომობილო გზაზე, ქვიშხეთთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაღუპული ბავშვების დედა, რომლის გადარჩენასაც ექიმები ცდილობდნენ, გარდაიცვალა.

როგორც დაღუპულების ოჯახის ახლობელი ლიზი მჟავანაძე აცხადებს, დაღუპული ბანძელაძეების ოჯახი ქუთაისში ცხოვრობს. პროფესიით მხატვარი ბექარი წლების განმავლობაში ემიგრაციაში, ისრაელში იმყოფებოდა და სამშობლოში ახალი დაბრუნებული იყო. ცოლ-შვილი რამდენიმე დღით ბაკურიანში წაუყვანია ერთ-ერთი შვილის დაბადების დღის აღსანიშნავად. ტრაგედია უკანა გზაზე მოხდა.

კვირას ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ადგილზე დაიღუპა სამი არასრულწლოვანი და მათი მამა ბექარ ბანძელაძე.

გავრცელებული ინფორმაციით, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და მდინარე მტკვარში გადავარდა. თვითმხილველები ვარაუდობენ, რომ მძღოლს საჭესთან ჩაეძინა, რადგან, სატრანსპორტო საშუალება მაღალი სიჩქარით არ მოძრაობდა, გზაც არ იყო მოყინული.

რედაქცია თანაუგრძნობს განსვენებულთა ოჯახს და სრულიად საქართველოს!

კათარზისიდან მილიონამდე
საქართველოს ახალი მილიონერი ჰყავს

მილიონერი, რომელსაც მთელი საქართველო ეძებდა, ნაპოვნია. „ლოტო 6/42“-ის ჯეკპოტი – 1 182 454 ლარი 21 იანვარს გათამაშდა, მაგრამ ახალი ქართველი მილიონერი რამდენიმე დღე არ ჩანდა.

„საქართველოს ეროვნულმა ლატარიამ“ ყველაზე იღბლიან ადამიანს ბათუმში, დევნილთა დასახლებაში მიაგნო.

1 182 454 ლარი 77 წლის ვალიკო კვაჭაძემ და მისმა შვილმა გიორგი კვაჭაძემ მოიგეს. დღე ჩვეულებრივი იყო. ჯერ რიგში იდგა სოციალურად დაუცველების სასადილოში, შემდეგ შვილმა გამოუარა და სახლისკენ ერთად გაემართნენ, გზად ჯიხურთან შეჩერდნენ. 18 იანვარს „ლოტო 6/42“-ის ბილეთი შეიძინეს. ციფრებიც ერთად შეავსეს – მამა კარნახობდა, შვილი კი ბილეთს ავსებდა. ბევრი იფიქრეს, განსაკუთრებით ბოლო ციფრზე დაფიქრდნენ და საბოლოოდ ეს კომბინაცია დასვეს: **17, 24, 25, 29, 33** და **36**. კომბინაცია, რომელმაც კვაჭაძეების ცხოვრება

წამიერად ზღაპრულ სიუჟეტად აქცია და სამუდამოდ უკეთესობისკენ შეცვალა.

ბილეთის შეძენამდე ერთი დღით ადრე, 17 იანვარს ვალიკო კვაჭაძეს 77 წელი შეუსრულდა. მანამდე ის და მისი ოჯახი სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პირების მძიმე ყოფით ცხოვრობდა. უკვე რვა წელია, საკუთარი ბინა დაგირავებული აქვთ და ბათუმის დევნილთა დასახლებაში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობენ. ბინის დაბრუნების ოცნებამ ლატარიის თამაში დააწყებინათ. ლატარიას კი კათარზისის სასადილოსკენ მიმავალ გზაზე ყიდულობდნენ, იმედად მხოლოდ მოგება ჰქონდათ დარჩენილი.

და მოიგეს 1 182 454 ლარი!

ორ ლარად შეძენილმა ბილეთმა სოციალურად დაუცველის სტატუსი კვაჭაძეების ოჯახს მილიონერების სტატუსით შეუცვალა.

ახალ მილიონერებს ბევრი გეგმა აქვთ. პირველ რიგში, მშობლიურ დაგირავებულ ბინას გამოიხსნიან, მანქანას შეიძენენ და ბიზნესს წამოიწყებენ. კიდევ ბევრ ოცნებას აიხდენენ და სამუდამოდ დაემშვიდობებიან მომავლის შიშით სავსე ცხოვრებას.

„საქართველოს ეროვნული ლატარია“ კვაჭაძეებს „ლოტო 6/42“-ში მოგებულ 1 182 454 ლარს უახლოეს დღეებში საზეიმოდ გადასცემს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

◎ ხელოვნება

ზაზა ლოდია – მინანქრის ჯადოქარი

ზაზა ლოდია 1982 წელს შემთხვევით გავიცანი გაგრაში. ძალიან ბედნიერ კაცად ვგრძნობ თავს. მას ტიხრული მინანქარი შეასწავლეს ლატვიელმა მხატვარმა რიმას კარაოკემ და გოგა კუპრაძემ. ზაზა ლოდიას ეს ხელობა რომ ესწავლებინა სხვებისთვისაც, მილიონერი გახდებოდა.

ერთმა იაპონელმა მინანქრის სპეციალისტმა თქვა – **ჩვენ ვმუშაობთ მინანქრით, ხოლო ზაზა ხატავს.**

იგი კომპეტენტური ადამიანია, მუშაობს ხეზე, ქვაზე, რკინაზე, პირველი პერსონალური გამოფენა ჰქონდა შარდენის ქუჩაზე, სადაც მისი ერთი ნამუშევარი 2000 დოლარად გაიყიდა.

უცნაური კაცია... გაშალა ქუჩაში მაგიდა და გამლელ-გამომვლელები კარგად აქეიფა. მახსენდება ერთი შემთხვევა, როდესაც ზაზამ მათხოვარს 100 დოლარი აჩუქა. ჰყავს მეუღლე ეთერი და ორი შვილი ლექსო და ია.

მრავალჟამიერ ასეთი მამულიშვილები!

კოტე ცაგარელი
გიგი ჭეიშვილის ფოტო.

გველის შხამი ხელოვნურად შექმნეს

ნიდერლანდებში ბიოლოგების ჯგუფმა გველის ღეროვანი უჯრედების გამოყენებით, შექმნეს მათი ჯირკვლების ხელოვნური ანალოგი, რომელშიც შხამი იწარმოება.

ყოველწლიურად გველის ნაკბენისგან მსოფლიოში 100 ათასი ადამიანი კვდება, აქედან უმეტესობა განვითარებად ქვეყნებში. ამავე დროს, ანტიდოტების წარმოების ტექნოლოგია დიდად არ შეცვლილა XIX საუკუნის შემდეგ.

„სავსებით ნათელია, რომ არსებობს ასეთი წამლებზე მოთხოვნა, რომელიც ახლა არაფრით არ არის ჩანაცვლებული,“ – აცხადებს ნაშრომის ერთ-ერთი ავტორი, მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალისტი უტრეხტის უნივერსიტეტიდან (ნიდერლანდები) ჰანს კლეევერსი.

ახლა სოკოების, გველის, თევზისა და მიკრობების შხამები და ტოქსინები ახლა ქმედითად გამოიყენება, როგორც სხვადასხვა მედიკამენტების, ლაბორატორიული რეაგენტების კომპონენტები. კერძოდ, რამდენიმე წლის წინათ ფრანგმა ბიოლოგებმა გამოიყენეს შავი მამბას შხამი, შექმნეს მამბალგინი, ეფექტური ტკივილგამაყუჩებელი, რომელიც არ იწვევს დამოკიდებულებას.

ერთ კვირაში 2,1 მილიარდი დოლარი...

კომპანია Tesla-ს საბაზრო კაპიტალიზაციის ზრდის გამო მისი დამფუძნებლის ილონ მასკის ქონება ერთ კვირაში 2,1 მილიარდი დოლარით გაიზარდა.

კერძოდ, 20 იანვარს მასკის ქონება 30,9 მილიარდ დოლარს აღწევდა, 23 იანვარს 33,3 მილიარდამდე გაიზარდა, 24 იანვარს კი 33 მილიარდამდე შემცირდა.

სააგენტოს ცნობით, 2020 წელს მასკის ქონება 5,4 მილიარდი დოლარით გაიზარდა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8867; ევრო - 3.2005;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7899;
100 რუბლი - 4.6592; თურქული ლირა - 0.4874;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7001;
1000 სომხური დრამი - 6.0259.

ამინდი 25 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-8,	დღე	+6
მთიანი რაიონები -	ღამე	-12,	დღე	+3
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+7
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე	+2
თბილისი:	ღამე	-3,	დღე	+4

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge